# სახალხო გაზეთი

№ 935 პარასკევი, 5 ივლისი 1913 წ. № 935

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, დ. ედირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვის და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაზული განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხოს ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი**

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **4 მ. 50 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.



**„სახალხო გაზეთის“ რედაქცია**

აუწყებს საზოგადოებას, რომ პარასკევს, 5 ივნისს, საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის

**ვლადიმერ** ბეჟანის ძის **ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად.



**„სახალხო გაზეთის“ რედაქცია**

აუწყებს საზოგადოებას, რომ პარასკევს, 5 ივნისს, საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის

**შიო ალექსის ძის ჩიტაძის**

სულის მოსახსენებლად.





პირველ-ხარისხოვანი

**დიდი ცირკი**

**ძმ. ესიკოვსკებისა**

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს. მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

**ვესწრაფოთ ცირკში!**

**დღეს, 5 ივლისს, 1913 წ.**

ჩვენ ვიცინებთ, სანამ კუჭი დაგვასკდებოდეს. დღეს **ბენეფისია** ჩვენი საყვარელი მამხიარულებლებისა, მოშაირეებისა და კომიკოსის **ძმ. ვინჩეცოებისა**, რომლებიც გაჰმართავენ ამ საღამოს მთელ სეზონში ერთად-ერთ

## საიუმორო წარმოდგენას.

დღეს **მხიარულება**, ორიგინალობა. სეტყვა ხუმრობისა, შაირისა და სიტყვა-მახვილობისა. **შარჟები და კარიკატურები**. სიცილი, განუწყვეტელი სიცილი, აი დევიზი მობენეფისეებისა. ჩვენ ვსცხოვრობთ, რომ ვიცინოთ; ჩვენ ვიცინებთ, რომ ვიცხოვროთ და მხოლოდ ერთი სიცილი მოგვცემს ჩვენ წარმატებას. მაშ, ჩქარა ცირკში, თქვენ პირველად ნახავთ დღეს სიცილს, გასაკვირველ ბარომეტრს—სიცილს. სასაცილო შარჟი შექსპირის ტრაგედიაზე. ბალეტს შეასრულებენ მობენეფისენი. ბევრი სხვა ახალი ნომერი. მონაწილეობას იღებს მთელი დასი გამოუკლებლად. დაწვრილებით პროგრამებში.

**დასაწყ. საღ. 8 ს.** დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

388 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**



## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. |
| | **მალალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. |
| | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½— . ს. |
| | **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| | **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარქევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. |
| | **ფირადოვი რ. გ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. |
| | **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1. |
| ბავშვთა სნეულბ | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. |
| | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. |
| | **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ | **გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. |
| | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 |
| | **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035



**ამ წლის 1-ლ აგვისტოდან**

ქ. გორში კვლავ გამოვა სასოფლო-სამეურნეო და სალიტერატ. გაზეთი

**„ქართლი“**

გაზეთი დაიბეჭდება **ყოველ-დღე** კვირა-უქმეთა მომდევნო დღეების გარდა. **ფასი გაზეთისა:** 1 წლით 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. და 50 კ., სამის თვით 2 მ., 1 თვით 70 კ., ცალკე ნომერი 3 კ.

**პირველ ნომრებიდანვე გაზეთ „ქართლ“-ში დაიბეჭდება დიდად საყურადღებო „მოგონებანი“ (მემუარები) ოლღა ბატონიშვილისა**, (მოსკოვში ახლად გარდაცვალებულ ოლღა ილიას (ირაკლი მეფის შვილის) ასულისა. რედაქტორ-გამომცემელი **ია ეკალაძე-ცინცაძე.**

გაზეთის დასაკვეთი ფული და მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: **ქ. გორი, ი. ცინცაძეს.** 1377



ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.

**შპალიერის** (ОБОИ) **ქარხანა**

**ძმ. ტარნოპოლების.**

**განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355**

**მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.**

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137



**ბროლის ღიმილი**

ი. გრიშაშვილისა



**გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული**

**მეირმეინი**

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული დ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით კ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371



**„თემი“-ს გამოცემა**

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

**„მზის სიცილი“**

ავტორის სურათით და ბ. ივ. გომართელის კრიტიკული წერილით,

**ფასი 50 კაპ.**

ვინც გამოიწერს ფასდადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25%, საკომისიოდ—20%.

1380 მისამართი: გაზ. „თემის“ კანტორა, ოლგის ქ. № 4.



**განცხადება**

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ 15 ივნისიდან ამა 1913 წლისა ვსხნი ქ. ბათომში **სასტუმროს**

**„კოლხიდა“-ს**

კათოლიკეთა ქუჩაზე, კანგალიდის სახლში № 4. შუა ქალაქში სადგურისა და ნავთსადგურის მახლობლად. ნომრები მშვენიერად მოწყობილია. ნათელი, მშრალი და მზის მხრისა. ფასები ძლიერ ზომიერია. თვიურად დიდი შეღავათი. სასტუმროს პატრონი **ალექსანდრე ზალიკოს ძე შენგელაია.** 1382



**ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო**

ამით აცხადებს, რომ ჭიათურის სამრეწველო საავადმყოფოში არის **თავისუფალი ადგილი**

**მოსიარულე ექიმისა,**

ჯამაგირი ექნება 1,500 მან. და ბინის ფული 300 მან. ქართული ენის ცოდნა აუცილებელია. ადგილის მიღების მსურველთ შეუძლიანთ შეიტანონ განცხადება საჭირო საბუთების წარდგენით შავი ქვის მრეწველთა საბჭოში ქუთაისში 1913 წ. 20 ივლისამდის; ცნობის მისაღებად მიემართვა შეიძლება ჭიათურის სამრეწველო საავადმყოფოს გამგე სიმონ დავითის ძე ჯაფარიძესთან. 1378



**ექიმი ა. შ. მიქელაძე.** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.



**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324



**საზურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220



**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვამაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

**ექ. ქალი ოთსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—1½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით** 1035



**კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს აბასთუმანში.



**დოქტორი მედიცინისა**

**გ. ა. ახვერდოვი**

**პეტერბურგის** სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **ხემიონოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159



**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაქარაშვილისა.



**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა დ კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102


## ტფილისი, 5 ივლისი

**ქალაქის თვით-მმართველობის საქმეები.**

ქალაქის თვით-მმართველობის მესვეურებს ზედი-ზედ რამდენიმე უსიამოვნო შემთხვევა დაატყდათ თავსა. ხან სახლი დაეხგრათ, ხან მოხელეებმა ფული გაუფლანგეს და სხვა. ყველა ეს შემთხვევები ცალ-ცალკე რომ განვიხილოთ, თითქოს ისეთს არაფერს დავინახავთ, რაც ყველგან არა ყოფილიყოს მოსალოდნელი. მაგრამ, როდესაც ასეთი შემთხვევები ზედი-ზედ ამოიტივტივებს ხოლმე ქალაქის თვით-მმართველობის ცხოვრების ზედა-პირზე, ძალა-უნებურად უნდა იფიქრო, რომ ქალაქის თვით-მმართველობაში ყველაფერი წესიერად არა ყოფილა. ისეთი შემთხვევები, როგორიცაა, მაგალითად, გოლოვინის პროსპექტზე მომხდარი უბედურება, ან უკანასკნელ ხანებში გამომჟღავნებული ფულის მითვისება სავაჭრო-სამეურნეო აგენტის მიერ, თავისთავადაც დიდს აღშფოთებას იწვევს მცხოვრებლებში. მაგრამ განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია დამოკიდებულება ასეთს შემთხვევებთან ქალაქის თვით-მმართველობის მესვეურებისა. ეგრედ წოდებული „სოლოლაკელები“, ან, ნამდვილი სახელი რომ ვიხმაროთ, ერთი ჯგუფი ქალაქის თვით-მმართველობაში გამეფებული ბურჟუაზიისა რაღაც გამოურკვეველისა და უცნაურის ჟინიანობით ხელს აფარებს ყოველს ასეთს შემთხვევას და ჯიბრობს იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად უნდა ჰქონდეს ადგილი ჯიბრსა და ჟინიანობას. პოლიტეხნიკუმის საკითხი, უბედურება გოლოვინის პროსპექტზე და მრავალი სხვა ასეთი მოვლენა მჭევრმეტყველურად ამტკიცებს, რომ ქალაქის თვით-მმართველობაში გამეფებულ ჯგუფს, რომელსაც ბატონობა მემკვიდრეობით რჩება, ქალაქი და საქალაქო ინტერესები თავის პირად საოჯახო, შინაურ საქმედ მიაჩნია. წლითი-წლობით ქალაქის თვით-მმართველობის ბატონ-პატრონობა ხელში უვარდება ერთსა და იმავე კატეგორიის მცხოვრებთ. არჩევნების წინ ითხზება პროგრამები, იქმნება სხვა და სხვანაირი საარჩევნო ჯგუფები, მაგრამ დგება დღე არჩევნებისა და ელემენტი, რომლის ძალაც მხოლოდ გასუქებულ ჯიბეში გამოიხატება, თავისი ტლანქი და მოუხეშავი ხელით ფრთებს აკვეცს მცხოვრებთა სურვილებს. შენ ილაპარაკე, შეადგინე პროგრამები, მე კი ჩუმად ვიქნები და საბოლოვო შეჯიბრების დროს ჩემი ოქროს პარკით ამოვავსებ საარჩევნო ყუთებს. ასრულებს კიდეც თავის მუქარას. არხეინად არის, რადგანაც იცის, ძალა იმის ხელშია, ძალა, მოპოვებული არა ზნეობრივი ავტორიტეტით, არამედ ხეპრული, მექანიკური უპირატესობით. ჯიბე გასიებული რაინდები სოლოლაკისა თამამად მიდიან საარჩევნო ყუთებთან, ირჩევენ იმათ, ვინც მემკვიდრეობით ჩვეულნი არიან ხმოსნობას და წლითი წლობით აბამენ ქსელს, რომლის დაწყვეტაც შეუძლებელი გახდება, თუ არ მოჰხდა რეფორმა საარჩევნო სისტემისა.

უდიდესი ნაწილი ქალაქის მცხოვრებლებისა, ყველაზე მეტად და პირდაპირ დაინტერესებული ქალაქის საქმეებით, მოწყვეტილია საარჩევნო ყუთს, გადაქცეულია უტყვ მოწმად, რომელსაც წილად ისღა ჰხდომია, რომ გულში ჩაიკლას მოზღვავებული ბოღმა და უკმაყოფილება. ეს უდიდესი ნაწილი მცხოვრებლებისა შესცქერის სოლოლაკელთა თარეშს, ჰხედავს მის ჯგუფობრივ ჟინიანობას და არ იცის, რანაირის საშუალებით გამოჰხატოს თავისი უკმაყოფილება.

ერთად ერთი ხსნა საქალაქო საარჩევნო სისტემის რეფორმაშია. საჭიროა განახლება საქალაქო თვით მმართველობისა, საჭიროა განახლება ქალაქის გამგეობისა: ეს კი შესაძლებელი გაჰხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი ელემენტი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. უნდა გამოვგლიჯოთ ხელიდან ქალაქის თვითმმართველობა იმათ, ვისაც ქალაქი და მისი საქმეები თავის საგვარეულო სამფლობელოდ გაუხდია. აი საითკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ყურადღება, თუ გვინდა ქალაქის საქმეები მოწესრიგდეს და თავიდან ავიცილოთ ისეთი შემთხვევები, რანაირიც ზედ-ზედ დაატყდა ამ მოკლე ხანში ქალაქის თვითმმართველობას.

## სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტ. სააგენტო).

**3 ივლისი**

**აკიმოვი** თავმჯდომარეობს. უკამათოდ მიღებულია საბჭოსაგან სათათბიროს რედაქციით 38 კანონ-პროექტი, მათ შორის: 1) კანონ-პროექტი, რომელშიდაც აღრიცხულია ამურის რკინის გზისათვის ვაგონებისა და ორთქმავლების საფასური არა უმეტეს 20.600.731 მან. და ამ საჭიროებისათვის 1913 წლის თანხიდან უნდა მიეცეს 10 მილიონი; 2) ენისეის ნავთსადგურის გაფართოვების და გაღრმავებისათვის ხარჯთ-აღრიცხვის კანონ-პროექტი,

რომლის მიხედვით ხარჯი არ უნდა აღემატოს 2.139.900 მან. ამ საჭიროებისათვის 1913 წ. თანხიდან უნდა მიეცეს 500.000 მ., 3) კანონ-პროექტი, რომლითაც გაღებული უნდა იქნეს მილიონ ნახევრის თანხა ჭირის და ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად; 4) კანონ-პროექტი, რომლის მიხედვითაც ამურის რკინის გზის აღმოსავლეთის ნაწილის საამშენებლო თანხა გადიდებული უნდა იქნეს 4.065.664 მან. საფინანსო კომისიის წინადადებით უარყოფილია კანონ-პროექტი, რომელიც 1910 წლის 10 ივლისის კანონის ძალით დასამტკიცებელ აქტების მისაცემად მოითხოვდა თანხას. კანონ-პროექტი უარჰყვეს იმიტომ, რომ ეს თანხა შეტანილია 1913 წლის ხარჯთ-განაწილებაში და შედის მამულების მომწყობ თანხაში. კანონ-პროექტი, რომელიც მოითხოვდა, რომ ხაზინას მიეღო თავის თავზე იმ ხარჯის ნაწილი, რომელიც დაიხარჯა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფთა საჭიროებათათვის მიიღეს საფინანსო კომისიის რედაქციით; რადგანაც ეს თანხა სათათბიროს შეამცირა 73.000 მ., ამიტომ კანონ-პროექტი გადაეცა შეთანხმებულ კომისიას, რომელიც არჩეულ იქნება მომავალ სესიის დასაწყისში. სახელმწიფო მდივანმა მოახსენა საბჭოს, რომ 30 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა კანონ-პროექტი 1913 წლ. შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელიც მოწონებული იყო საბჭოსა და სათათბიროსაგან. ხალხის დაუსწრებლად განიხილა საბჭომ 8 კანონ-პროექტი. შემდეგი კრება 4 ივლისს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **პანაშვიდი შიო ჩიტაძისა და ვლადიმერ ლორთქიფანიძის** სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება დღეს, 5 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

✦ **ბოროტმოქმედება ქალაქის თვითმმართველობაში.** მიგვყავს დაწვრილებითი ცნობანი ქალაქის თვითმმართველობაში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედების შესახებ: ბოროტმოქმედება აღმოჩნდა ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში, სადაც, სხვათა შორის, განაგებენ დასაფასებელ გადასახადების აკრების საქმეს. ამ წლის თებერვლამდე ხარჯის აკრების საქმეს საბუჰგალტერო განყოფილება განაგებდა, მას უკან კი ეს საქმე საკანტროლო განყოფილების ხელში გადავიდა. შემოსავალს ამოწმებდა საკანტროლო განყოფილების მოსამსახურე ბ-ნი მატინიანცი. დასაფასებელ ხარჯებს სხვათა შორის, უფროსი სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურე ნ. მარქაროვიც (მთავარ კანტროლიორის ტერ-დავთიანის ქვისლი) ჰკრებდა. მარქაროვს ქალაქის გამგეობიდან მიცემული ჰქონდა დასაფასებელ გადასახადის ათი საკვიტანციო წიგნაკი, რომელსაც ამოწმებდა ხოლმე ბ-ნი მატინიანცი. 1 ივლისს შემდეგი ამბავი მოხდა, რომელმაც ბოროტ-მოქმედება გამოამჟღავნა: გამგეობაში მივიდა სახლის პატრონი ბ-ნი მეიერი და მოსთხოვა ცნობა, რამდენია ჩემზე დარჩენილი დასაფასებელი გადასახადი დარჩენილი, რომ ვალი სულ გავისტუმროო. მას უთხრეს, 900 მან. არისო. ბ-ნს მეიერს ელდა ეცა, რადგანაც მის აზრით მასზე მხოლოდ 100 მან. უნდა ყოფილიყო. მან იმ წამს წარუდგინა კვიტანცია ნ. მარქაროვისა, რომელსაც მიეღო მისგან 800 მან. ამის შემდეგ გამოძიება მოხდა და გამოირკვა, რომ ნ. მარქაროვს ამ რიგად მიუთვისებია 2,673 მან. 82 კ. ისიც გამოირკვა, რომ მატინიანცი ამოწმებდა ხოლმე მხოლოდ 8 საკვიტანციო წიგნაკს, ორი წიგნაკი კი შეუმოწმებელი იყო. ბოროტ-მოქმედების შემდეგ მარქაროვმა გაფლანგული ფული სრულიად შეიტანა ქალაქის კასაში და სამსახურიდანაც გადადგა. მარქაროვზე ცუდი ხმები შარშანაც დადიოდა. ერთხანად ვაჭრებმაც იჩივლეს და გაზეთებმაც აღნიშნეს, მარქაროვი სარგებლობს სავაჭრო სამეურნეო მეთვალყურის მდგომარეობით და ქრთამებს იღებსო. მაშინ ქალაქის გამგეობამ საქმე გამოიძია, მარქაროვი საუკეთესო მოსამსახურედ აღიარა. და მომჩივანთა დასამშვიდებლად ერთის უბნიდან მეორეში გადაიყვანა. ახლა გამგეობა სამსახურიდან ითხოვს მატინიანცსაც.

✦ როგორც „რუსკაია მოლვა“-ს გაუგია, განზრახულია თურმე **მოსკოვის-საგენერალ-გუბერნატოროს აღდგენა** და ამ თანამდებობაზე ასახელებენ მეფის მოადგილეს კავკასიაში გრაფს ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს.

✦ რუსის უძველესი **ლეიბ-გრენადერთა ერევნის პოლკი,** რომელიც ეხლახან ცარსკოე-სელოში იმყოფება, სატახტო გაზეთების სიტყვით, კავკასიაში აღარ დაბრუნდება, მას დატოვებენ მოსკოვში და მიანიჭებენ გვარდიის უფლებას.

✦ **ყაჩაღ ზალიკა სვიმონიშვილის ძმის მოკვლა.** ტფ. პოლიციამ ცნობა მიიღო, ტფილისს ჩამოვიდა თელავის მაზრაში მოთარეშე ყაჩაღთა ბრბოს ერთი წევრთაგანიო. პოლიციამ უცნობს ზვერა დაუწყო. 1 ივლისს უცნობმა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ეტლი დაიქირავა და თიანეთის მაზრას მიემგზავრებოდა. პოლიცილებმა სხვა და სხვა ქუჩაზე მოუხვიეს და უცნობს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე წინ დაუხვდნენ და გზა გადაუღობეს მეთერთმეტე საპოლიციო სამმართველოს ახლოს. ერთმა პოლიციელმა მეეტლეს შეუყვირა, ეტლი გააჩერეო. უცნობი ეტლიდან იმ წამს გადმოხტა და რკინის გზის ხიდისკენ გაიქცა. პოლიციელებმა უცნობს დაუძახეს, გაჩერდიო, მაგრამ, რადგანაც არ გაჩერდა, რევოლვერები ესროლეს და იქვე მოჰკლეს. უცნობი აღმოჩნდა ცნობილ ყაჩაღის ზალიკო სვიმონიშვილის ძმა—დავით სვიმონიშვილი, თელავის მაზრის სოფელ კისისხევის მცხოვრები, რომელიც კავკასიის საზღვრებიდან ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული. სვიმონიშვილის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს. სროლის დროს შემთხვევით მსუბუქად დაიჭრა გლეხი ი. სეფაშვილი.

✦ **კომპოზიტორ დ. არაყიშვილისაგან** ჩვენმა გაზეთმა შემდეგი სალამი მიიღო: „ძვირფასს საქართველოს და ყველას თქვენ, მის წარმომადგენლებს, ჩემი გულითადი და მხურვალე სალამი. დ. არაყიშვილი“.

✦ **ალ. წუწუნავა,** რომელიც იძულებული გახდა სახალხო სახლში ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის რეჟისორობისთვის თავი გაენებებინა, ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ მიიწვია რეჟისორად. ქუთაისის დრამატიულ გამგეობას გადაუწყვეტია, მომავალ სეზონში დასი კვლავ იყოლიოს. დასის შედგენა ბ-ნ წუწუნავას მიანდო. ბ-ნ წუწუნავას მოლაპარაკება აქვს შემდეგ მსახიობებთან: ქ-ნი ნ. დავითაშვილთან, ქილარჯიშვილთან, მდივანთან, ლოლუასთან, ციმაკურიძესთან გოგოლაშვილთან და ბ-ნი: ყალაბეგიშვილთან, კორიშელთან, ბარველთან, არაბიძესთან და სხვებთან.

✦ **გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურების გამო.** „კრუჟოკ“-ის შენობის ძირითადი გადაკეთება ჯერ-ჯერობით შეჩერებულია, ვიდრე საგუბერნიო სამმართველოს საალმაშენებლო განყოფილება თავის დასკვნას არ გამოიტანს. გუშინ შენობაში დაიწყო ისეთი სამუშაო, რომლის გადადებაც შეუძლებელია. შეუდგნენ ზედა სართულის მთელი გამირის დანგრევას და შერყეულ ხარაჩოების გამაგრებას.

✦ **სეტყვასთან ბრძოლა.** ტფ. გუბერნატორმა თხოვნით მიმართა თელავისა, თიანეთისა და სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს მოიწვიონ თავიანთ თავმჯდომარეობით თათბირი იმის გამოსარკვევად, რამდენად სასარგებლოა სეტყვასთან ბრძოლა ზარბაზნებით, რამდენი დაჯდება მის შეძენა და რამდენის გაღება შეუძლიანთ ამ საქმისთვის თავად-აზნაურობასა და გლეხობას. თათბირში მონაწილეობა უნდა მიიღონ მაზრის უფროსებმა, ხარჯის ამკრებმა ინსპექტორებმა, მომრიგებელმა შუამავლებმა, საუფლისწულო მამულების წარმომადგენლებმა და თავად-აზნაურობისა და გლეხობის მხრივ არჩეულმა პირებმა.

✦ **სასმელ წყლის ძებნაში.** ქალაქის გამგეობასთან ხმოსან ა. ს. ბაბოვის თავმჯდომარეობით შემდგარია საგანგებო ბიურო, რომელსაც დავალებული აქვს, შეაგროვოს მასალები და შეადგინოს პროექტი ქალაქის უზრუნველ ყოფისა წყლითა. ბიუროს თავჯდომარემ ა. ს. ბაბოვმა ქალაქის გამგეობას გუშინ წარუდგინა ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ მუშაობისა. ბიუროს აზრით, წალკის წყაროების გამოსაკვლევად საჭიროა 25,000 მან. (ეს ფული ქალაქის საბჭომ უკვე გადასდოს, ნატახტარის წყაროების გამოსაკვლევად—40,000 მან., ხოლო ავჭალის წყალსადენის გაფართოვების პროექტის შესადგენად—15,000 მან.

✦ **ნავთლუღის სადგურის** გასაფართოვებლად, როგორც ვწერდით, 12 წლის წინად ქალაქს მიწა ჩამოართვა რკინის გზამ. დამფასებელმა კომისიამ საბოლოოდ გამოარკვია, რომ რკინის გზამ ქალაქს უნდა მისცეს სულ 820,000 მან, ამ ფულში შედის 12 წლის სარგებელი (6%).

✦ **მერძეობის კურსები.** მიწად მოქმედების დეპარტამენტმა გუმბრის მაზრის სოფელ დიდ კარაკლისში მერძეობის კურსები გახსნა, რომელზედაც 30 მსწავლებელია მსმენელად. კურსები ორს თვეს გასტანს.

✦ **უმაღლესი მადლობა.** ხელმწიფე იმპერატორისგან უმაღლესი მადლობა მიიღო სამსახურ გარეშე მყოფმა გენერალ-მაიორმა თ-დმა ი. რ. მაყაშვილმა, რომელმაც შეადგინა გურიის პირველ ქვეითა დრუჟინის ისტორია და უქვეშევრდომილეს ადრესით მის უდიდებულესობას მიართვა.

✦ **მიწების შეძენა.** ამას წინად ქალაქის სასკოლო კომისიამ დაადგინა, სასკოლო შენობებისთვის შეიძინოს ვიგოლოვისა, ვაგანიანცისა და ალაევის მიწები. გუბერნატორმა ეს დადგენილება დაამტკიცა.

✦ **დარჩენილი გადასახდები.** რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის აღსანიშნავად ქალაქს გადადებული აქვს 30,000 მან. ამ ფულით დარჩენილი გადასახადი უნდა ეპატიოს ქალაქის უღარიბეს მცხოვრებთ. გადასახადის პატივებას მრავალი ხალხი თხოულობს, თხოვნების განსახილველად დღეს შეერთებული კრება ექნება ქალაქის გამგეობასა და საფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო და ხარჯების გამწერ კომისიებს.

✦ **ქართულ გიმნაზიასთან არსებულის უფასო სასადილოს გამგეობა** ულრმეს მადლობას უძღვნის დეპუტატთა საკრებულოს, რომელმაც სასადილოს შესწირა 200 მანეთი, განსვენებულის თავ. ივ. ქავჭავაძის კუბოს გვირგვინით შემკობის ნაცვლად.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრნი თ-დნი ა. მ. და ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვები,** რომელნიც დასასვენებლად არიან წარსულნი, ტფილისს 14 ივლისს დაბრუნდებიან.

✦ **მკერვალ მუშათა შორის.** ტფ. მკერვალ მუშებს გადაწყვეტილი აქვთ, პროფესიონალური კავშირი შეადგინონ. ამ საგნის შესახებ 30 ივნისს პირველი კრება ჰქონდათ. რადგანაც კრებამ ამ დღეს ვერ მოასწრო ყველაფრის გამორკვევა, ამიტომ შემდეგი კრება დაინიშნა 7 ივლისისთვის, დილით ათ საათზე, სახალხო სახლში. კრებამ უნდა შეიმუშაოს პროფესიონალურ კავშირის წესდება და დამფუძნებელი წევრნი აირჩიოს.

✦ **სამუნიციპალო მუზეუმის გამდიდრება.** ქალაქის გამგეობამ ფოტოგრაფ კლარს გადაალებინა სურათები გოლოვინის პროსპექტზე დანგრეულ შიოევისეულ შენობისა და მტკვრის მარცხენა მხარეს (ვორონცოვის ხიდის ზემოდ) ამას წინად ჩანგრეულ კედლისა. სურათები გადაალებინა სამუნიციპალო მუზეუმის შესავსებად. ამაზე იტყვიან: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“.

✦ გულკეთილი ხალხის საყურადღებოდ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ **თებრონე გიგოლის ასული მაღალაშვილისა** უკიდურეს სიღარიბეს განიცდის. მისამართი: 1 საპოლიციო ნაწილი, ფასანაურის ქ. № 8.

✦ რედაქციამ მიიღო „ნაკადული“-ს № 6 მოზრდილთათვის. შინაარსი: 1) ფინიკის კრეფა,—სურათი. 2) მომავალს,—ლექსი ნ. ჩხიკვაძისა. 3) ფარნაოზ მეფე,—ისტორიული მოთხრობა, (შემდეგი) ივ. როსტომაშვილისა. 4) უძველეს დროის ბავშვის თავ-გადასავალი,—მოთხრობა ე. დ'ერვილისა, (გაგრძელება) თარგ. მარიამ იაშვილისა. 5) წყარო და პატარა,—ლექსი სიმ. მუხისძირელისა. 6) სტეფანეს შვილი,—(თარგმ.) მ. კლიმიაშვილისა. 7) ქინქრაქა, (ლომბე-მძვრალა,—(ლეგენდა). ნოშრევან მერკვილაძისა. 8) ექიმთა და ბუნებისმეტყველთა კრება,—ილია ნაკაშიძისა. 9) შედარებითი ანატომიიდან აღებული ფაქტები,—(შემდეგი) გ. ანთელიძისა. 10) ტროადის ომი,—(გაგრძელება) ალ. მიქაბერიძისა. 11) გასართობი: რებუსი, შარადების და რებუსის ახსნა,

და აგრეთვე მცირე წლოვანთათვის № 12. შინაარსი: 1) კონცერტი,—სურათი. 2) მლოცავი თამრო,—ლექსი ბ. ახოსპირელისა. 3) ძმები,—ამბავი ილია რუხაძისა. 4) ჩიტბეღურა,—ხალხური ზღაპარი, გალექსილი, (გაგრძელება) სტეფ. ძიმისტარიშვილისა (კორტოხა). 5) თედო და გოგი,—(თარგმანი) გ. ლ—ისა. 6) გასართობი:—რებუსი და ახსნა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **მუშათა დაზღვევა.** გუშინ კრება ჰქონდა მუშათა დაზღვევის საქმეთა ტფ. საგუბერნიო საკრებულოს მუშათა დაზღვევის საქმის გაუმჯობესების საკითხის განსახილველად.

✦ **ამომრჩეველთა კრება.** 30 ივნისს ხმოსან მ. ზ. ქანანოვის თავმჯდომარეობით ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ჰქონდათ ხმოსნებს და ქალაქის მეხუთე უბნის ამომრჩევლებს. კრების მონაწილეთ აღნიშნავს, რომ მეხუთე უბანი ამ ჟამად მეტის-მეტად მივიწყებულია ქალაქის გამგეობის მიერ და ერთხმად სურვილი გამოსთქვეს იმისა, რომ გამგეობამ ერთხმად თუ არა, ნელნელა მაინც დააკმაყოფილოს ამ უბნის მრავალი საჭიროება.

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს თავმჯდომარემ თავ. **დ. ჩოლოყაშვილმა,** როგორც გადმოგვცეს საბჭოში განცხადება შეიტანა, რომ ის თავმჯდომარეობას თავს ანებებს. ამის გამო საბჭომ ერთხმად გამოსთქვა სურვილი, რომ ეთხოვოს თავ. დ. **ჩოლოყაშვილს** გადაწყვეტილებას სისრულეში ნუ მოიყვანს, რადგანაც მის მიერ დაწყებული და დამკვიდრებული საქმისათვის სხვა თავმჯდომარის ყოლა შეუძლებელია. შესაფერი დეპუტაციაც აირჩიეს.

## სასწავლებლებში

✦ **ახალი საქალაქო სკოლები.** ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ ქალაქის ტეხნიკოს ჩისლიევს დაავალა, სექტემბრისთვის დაამზადოს პროექტები ხუთის საქალაქო სკოლის შენობებისა. ერთი შენობა აგებულ უნდა იქმნას დიდუბეში—კუკიის მესამე საქალაქო სკოლისათვის, ორი—ნაძალადევში—ქართულ და რუსულ სკოლისათვის, ერთი ავლაბარში—ქართულ სკოლისთვის და ერთიც—გუდოვიჩის ქუჩაზე, ასტაფიევისგან ნაყიდ მიწაზე.

## სასამართლო

✦ **უგანათლებულეს თ-დის უჩა დადიანისა** და სხვათა საქმის გარჩევა ტფ. სამოსამართლო პალატამ ბათომში დანიშნა. სასამართლოში მოწმეებს ხელ-ახლა დაჰკითხავენ. სულ 150 მოწმეზე მეტია, ეს საქმე პალატაში (კავკავსა და ბაქოში) ხუთჯერ ირჩევოდა, მაგრამ ხუთჯერვე გადადებულ იქმნა დამცველთა თხოვნის თანახმად. ამ ჟამად დამცველთა ყველა შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია და საქმე, ალბად, შემოდგომაზე გაირჩევა. დამცველთა შემადგენლობა შეიცვლება. წინანდელ დამცველთაგან დარჩებიან: ნაფიცი ვექილები: კლანკი, ესსენი, თ-დი ფალავა, ა. მიქელაძე, და ნაფიცვექილის თანაშემწენი: გიორგაძე და მუტუშევი.

✦ ქალაქის მთავარმა კონტროლმა გარეგან კამსარის ძე და ტერდავითიანცმა გუშინდელ „ზაკავკაზიე“-ში დაბეჭდილ წერილით „ტფილისის მუნიციპალიტეტის კედლებში“ თავი შეურაცყოფილად იცნო და დიფფამაციისთვის სამართალში მისცა „ზაკავკ.“ რედაქტორი ი. ი. რადიკე.

## ბ ო რ ი.

✦ **ქალის გატაცება.** სოფელ ზუბანის მცხოვრებნი გ. წიკლაური ადგილობრივ მცხოვრების სახლში შეიჭრნენ, გაიტაცეს სოფ. ფარეთისის მცხოვრები 17 წლის ქალი ეკობაიძე და წაიყვანეს ტყეში, სადაც გ. წიკლაურმა ქალს ნამუსი აჰხადა.

## რკინის გზაზე

✦ **უეცრად გარდაიცვალა** ალექსანდროპოლის გზაზე საფოსტო მატარებლით მიმავალი სიღნაღის მცხოვრები ივანე ქურდაშვილი.

✦ **მძიმედ დაასახიჩრა** მატარებელმა მუხრანის სადგურის მახლობლად რკინის გზის მსახური პლატონ ფხაკაძე.

## თიანეთი.

✦ **მცირე-წლოვანი მკვლელი.** სოფ. საბუისტინში ეგნატე გაჩეჩილაძის მსახურმა, მცირეწლოვანმა ბავშვმა, კედლიდან სავარჯიშოდ ჩამოიღო თოფი და უცაბედად მოჰკლა ეგნატე გაჩეჩილაძე.

# ცხოვრება და ხელოვნება

(ჩვენი ახალგაზრდა მწერლები)

ა. ჭ უ მ ბ ა ძ ე.

I

ახალგაზრდა მწერალთა შორის, პროზაში განსაკუთრებული ადგილი უეჭველად უნდა მივაკუთნოთ ბ. ა. ჭუმბაძეს და ჯ. ჯორჯიკაიას. სრულიადაც არ მინდა შევადარო შანშიაშვილისა და გრიშაშვილის როლსა პოეზიაში ჭუმბაძისა და ჯორჯიკაიას როლი პროზაში. ხოლო ის კი უეჭველია, რომ ტრაგედიული განწყობილება ჭუმბაძისა ბევრჯერ მოგვაგონებს შანშიაშვილის სევდით მოკაზმულ მუზას, და ჯორჯიკაიას ცქრიალა, მხიარული, შვებისა და ბედნიერების აღმძვრელი კალამი წააგავს გრიშაშვილის „კოცნის სუნთქვით გამოზრდილ“ ქნარსა.

ჭუმბაძე ნამდვილის და რადიკალურის სიმბოლიზმის გამომხატველია ჩვენს ლიტერატურაში. ვაჟადან დაწყებული ჩვენი მწერლობა სიმბოლიზმს განუწყვეტლივ ემიჯნურება, მაგრამ ეგრეთი თავდადებული და ერთგული მოწაფე სიმბოლიზმს ჩვენში არა ყოლია, როგორც ბ. ჭუმბაძე.

ფრიად ორიგინალური მწერალია, მოთხრობათა კონცეპციით, სტილით, მისტიკით შეზავებულის ფილოსოფიით.

ერთ პირველ თავის მოთხრობაში გვამცნო ბ. ჭუმბაძემ თავისი წერის კილო, თავისი ფილოსოფიის თვისება.

„ჩემის აზრით სიკვდილ სიცოცხლის ამოცანა მხოლოდ იქ უნდა ვეძიოთ, სადაც ეს ორი საბედისწერო ძალა, რაღაც განგებით ერთმანერთს თავის თავს გადაადებს ხოლმე; ადამიანის არსებობის ხანაში არის ზოგჯერ მომენტი, როცა სიკვდილი, როგორც დამოუკიდებელი, საშიში მეტოქე სიცოცხლისა, თითქმის აღარ არსებობს, არის ისეთი სულიერი განცდა, როცა იგი, ძლეული და დამარცხებული, ილულება, მქრალდება და მით ჰკარგავს თავის საბედისწერო სახიერებას. ასეთი მომენტია—განცდა სიყვარულის გრძნობისა. აი ამ მომენტში იხსნება—თუ გნებავთ, ისპობა კიდეც—ტრაგედია ადამიანის სიცოცხლისა, რადგან სწორედ აქ სიკვდილი, როგორც ჩვენ „მეობის“ განუშორებელი ბოლო, აღარ არსებობს; აღარ არსებობს იმიტომ, რომ სიყვარულის გრძნობის განცდა, სამარადისო ყოფნის განცდაა და მაშასადამე სრულქმნილი, აბსოლუტური. დიახ, მხოლოდ ამ მომენტში შეიძლება იგემოს ადამიანმა მარადისობის შესაძლებლობა და სძლიოს სიკვდილი ე. ი. წაართვას მას საბედისწერო ძალის მნიშვნელობა, როგორც არ ყოფნის სიმბოლოს“.

„სიყვარულის გრძნობის განცდა, სამარადისო ყოფნის განცდააო“,—გვეუბნება ავტორი „იდუმალის ძალისა“ *) და მაშასადამე, იგი არის სიკვდილის დამთრგუნველიო. ასეთი დიადი მნიშვნელობა „სიყვარულის გრძნობისა“ ჩვენ ვნახეთ გრიშაშვილსაცა აქვს აღსარებული, როცა იგი „კოცნას“ სახავს „ბუნების აღმზრდელად“. ხოლო დიდი განსხვავება ამ ორ მწერალთა შორის ის არის, რომ გრიშაშვილს ნეტარებისა და ბედნიერების დაუშრეტელ წყაროდ მიაჩნია სიყვარული, ხოლო ჭუმბაძე მას საბედისწერო, ტრაგედიულს ხასიათს აძლევს. ყოველი მისი მოთხრობა ამბავია დაღუპულის, დამარცხებულის სიყვარულისა, სიყვარულისა, რომელსაც თავზარდამცემი, უბედური ბოლო აქვს. ავიღოთ მისი „იდუმალი ძალა“, ეს ამბავი მონადირე—ინტელიგენტისა და მეწისქვილეს ქალის ბავშვურის გულწრფელობით აღსავსე, მშვენიერი და ლამაზი მიჯნურობისა. ავტორი, რომელიც ამ ინტელიგენტის პირით ლაპარაკობს, ამ უცნაურ ტრფიალს ძალზედ გულგრილად უყურებს, თითქმის უსიამოვნებასაც იწვევს მის გულში. მეწისქვილეს ნორჩი ასულისათვის კი ეს დამოკიდებულება კატასტროფით დამთავრდება. იგი თავს ჩამოიხრჩობს იმ აბრეშუმის სარტყელზე, რომელიც მონადირემ შესთავაზა.

ეს პირველი ამბავი მიჯნურობისა მარცხით თავდება. ეს განწყობილება ტრაგედიული წითელის ხაზით არის გატარებული ბ. ჭუმბაძის ეროტიულ ფილოსოფიის მხატვრულ ილლიუსტრაციებში.

მაგრამ მეორე რამ არის აქ საინტერესო. საყურადღებოა ავტორის მიერ „იდუმალის ძალის“ გამოაშკარავება. მოგზაურობის დროს ფიქრებში გაერთო, ბუნების საოცარმა სურათმა გაიტაცა: „ბუნებას შეუერთდა: ესმოდა გარემოს უხმო მუსაიფი, მისი სუნთქვა, მის გულის ცემა“... „ბუნება და მე ერთი ვიყავით“-ო განაგრძობს ავტორი, „განუყრელი, შესისხლხორცებული...“ ამ დროს უეცრად „ჩემ ყურსო უცნაური ხმა ესმა, ხმა იდუმალი, ვით შორიდან მონაქროლი ზარის რეკა... ვიღაცამ მიხმო“-ო. ბევრის ხეტიალის შემდეგ იგი მეწისქვილეს მიაგნებს, რომელიც მისის ასულის დაღუპვის ამბავს მოუყვება. მხოლოდ ეხლა გამოერკვევა მონადირე, მხოლოდ ეხლა მიხვდება რა იყო ის „ხმა იდუმალი“, რომელიც მას უხმობდა, მეწისქვილეს ქალის ხმა უნდა ყოფილიყო.

„მაშ, შენ მეძახდი წყლიან, ტყის ფერიავ, უდანაშაულო მსხვერპლო უცნაურ სიყვარულისავ?! ნუთუ... ნუთუ, ესე ძლიერია გრძნობა სიყვარულისა რომ სამარეშიაც კი ვერ ისვენებს მისი მსხვერპლი, სპობს სიკვდილსა და მარადისობად ქცეული კვლავ იდუმალობის სახით ევლინება საქაროს? მაშასადამე ამ უცნაურის მოვლენის ასახსნელად, ავტორი იდუმალ ძალას მიჰმართავს, მისტიურ განმარტებას ჩასჭიდებს ხელს. ჩვენ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ავტორს, შეგვიძლია მეცნიერულის ფსიხო-ფიზიოლოგიის კანონებით აუხსნათ ის მოვლენა, რომ „ვიღაცამ უხმო“, სრულიად ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ენით განვმარტოთ იგი, მაგრამ ნებას ვერ წავართმევთ მხატვარს და ხელოვანს. ის, რასაც ჩვენ შაბლონურად ვხსნით, გაადრმავოს, გამოუცნობელის ლეჩაქით დაჰფაროს, იდუმალი სარჩული გამოუძებნოს და თვით ულრმესი და მიუწდომელი ჩვენში დამარხული ინსტინქტები გადაგვიშალოს და მათი საბედისწერო თამაშით გამოარკვიოს სრულიად უბრალო შემთხვევა. ხელოვანი მით განირჩევა უბრალო მომაკვდავისაგან, რომ იქ, სადაც ჩვენ მარტო მოვლენათა წარმავალობას ვხედავთ, იგი ამ მოვლენათა მიმდინარეობაში სამარადისო კანონებს იძიებს, მწერალი, პეტი, მით განსხვავდება ბრბოსაგან, რომ იგი მოვლენათა და ნივთთა ტანსაცმელს ქვეშ იძიებს თვით არსებას საგნისას, რომ იგი ზედაპირს ქვეშ სარჩულს ჰხედავს და მის გამოაშკარავებას სცდილობს.

თვით უფრო მარტივი ახსნა ამ შემთხვევისა ის არის, რომ ჩვენ ვიცით, ავტორი ბუნებით მოჯადოებული იყო, ბუნებით მოხიბლული, მისი აზრი და გრძნობა დადუნებული, ნისლით მობურული იყო, იგი ნახევრად სიზმარში და ოცნებაში იყო. ამ ყოფაში, როცა ყოველივე აქტიური ელემენტი მიძინებულია, როცა ადამიანის ნება და გონება ერთგვარად გაბრუებულია, იგი ხდება მონად თვით ულრმესის ინსტინქტებისა, ათასგვარ ზედგავლენათა წყალობით ერთად თავმოყრილისა. და აი ამ ადგილს, იმ ჭიროებში, სადაც მას ეს იშვიათი ამბავი მოუვიდა—მეწისქვილეს ქალის გამიჯნურება—მას მისდაუნებურად თავში და ფიქრში გაუელვა ამ წარსულმა, დავიწყებულმა, და მის თავის გულიდან, შიგნიდან მოესმა თავისი სახელი, ამის გაგონებამ იგი გამოარკვია, მისი ბუნება უნებურად იქითკენ გაემართა, სადაც უკარნახებდა თავში ღრმად ჩაფლული შთაბეჭდილება და გაჩაღდა „იდუმალის ძალის“ სცენაზე გამოყვანა.

მაგრამ აგრეთი ჩვენი განმარტება, სრულიადაც არ აქარწყლებს ავტორის შემოქმედების ნაყოფს. წინააღმდეგ იგი მას ფესვებს უმაგრებს სინამდვილეში, ბუნების კანონებში, ალის ყოველივე ნასახს აბსურდისას, ყოველივე ნატამალს ულოღიკობისას და საბუთს აძლევს მის მისტიურ მსჯელობას. ყოველივე, რაც ჩვენ ზემოდ ვსთქვით, ერთგვარი ჰიპოტეზაა, მეცნიერულ საფუძველზე აღგებული, მაგრამ, როგორც ჰიპოტეზა, მისი შეურყევლად, ნათლად დამტკიცება შეუძლებელია და მაშასადამე კიდევ რჩება საბაბი იდუმალ, გამოუცნობელ ძალთა მოპატიჟებისათვის.

და სწორედ ამაში იხატება ბ. ჭუმბაძის სიმბოლიზმი, რომელიც უარს არა ჰყოფს მეცნიერებას, წინააღმდეგ მეცნიერებაზედ დამყარებული, მიუწდომელსა და გამოუცნობელს აღიარებს და სცდილობს მის გამოაშკარავებას, გამოქვეყნებას, თვით უბრალო, უმნიშვნელო შემთხვევასა და მოვლენაში.

II

ბ. ჭუმბაძე თანდათან აღრმავებს თავისს ნაწარმოებებში აზრს სიყვარულის ფატალურის ძალის შესახებ და არ ივიწყებს მის იდუმალ ძალასაც.

გადაათვალიერეთ მისი „მთის ასული“ 2) ეს მეორე უცხო სურათი სიყვარულის დამარცხებისა. „სიყვარული! იცით, რა არი სიყვარული“? კითხულობს ავტორი და თვითვე გასცემს ჰასუხს;

*) „იდუმალი ძალა“, იხ. „სახალხო გაზეთი“ 1910 წლ. № 134 და 135.

2) „მთის ასული“ „კოლხიდა“ 1911 წ. აგვისტოს ნუმრები (112—137).

# დღიური

**იდუმალი**

— ძალიან ვცდილობ, მაგრამ სრულებით ვერ შევითვისე შენი აზრების დასაბუთება. ჩვენი ცხოვრება წარმავალია; არის მხოლოდ ის, რაც არის, უნაყოფოა სხვა მისწრაფება რაღაც დაუსრულებელი უსაზღვროებისაკენ, სხვა მხრის, სხვა ქვეყნისკენ. რის მაქნისია ეს უკვდავება, სული, ღვთაება? ჩვენ მიწის შვილები ვართ—ეს კმარა. მეტი არც გვინდა და არც არა არისრა.

— არ ჰხედავ იმას, რაც ოდნავად მოშორებით გვახლავს. გარდაუვალის და უკვდავის უარყოფით შენ ხომ გარდამავალსაც და სააქიოს უარყოფ. თუ არ არსებობს დაუსაბამო ღვთაება, არსთა წარმომშობი, სულის ჩამდგმელი მაშინ არ არსებობს არც აქაური ცხოვრება, რადგან იგი უაზროა, და როგორც ასეთს, ვერ მივიღებთ.

— მე კი პირად კარგად მივიღებ. ვარსებობ, ხელთა მაქვს ჩემი სიცოცხლე და კმაყოფილი ვარ. არავითარი ძალა არ მიმიწევს არც მისი დასაწყისის, არც დასასრულისკენ. ჩემთვის სულ ერთია, რაც იყო წინად. მაინტერესებს მხოლოდ, რაც არის დღეს და მინდა ისე მოვაწყო ეს სიცოცხლე, რომ რაც შეიძლება მეტი ვისიამოვნო,

— რასლა უწოდებ სიამოვნებას?

— რაც მიამება—სმა-ჭამას, ლხინს, ცეკვა თამაშს, სიყვარულს, მეცნიერებას, ხელოვნებას.

— და ამას იქით არა არის რა?

— არა. არც დავდევ, არის ფუ არა!

— თუ არ არის, ღირს რამე ეს წუთი სოფელი? რისთვის ვიშუშოთ, რისთვის ვიბრძოლოთ, რისთვის მივდოთ ცხოვრების სიმწარენი? გამოურკვეველ, წარმავალ, წუთიერ სიამოვნებისათვის? არა სჯობია განსვლა ამ ქვეყნით, სიკვდილი?

— რატომ! ვარსებობ, მატკბობს განგრძობა ამ არსებობის და ვცხოვრობ ამიტომ.

— აზრი, აზრი ცხოვრების?

— თვით ცხოვრებაა.

— ეგ პასუხი არაა.. მაშინ ხომ შემთხვევითია ჩვენი ცხოვრებაა.

— სწორედ ადამიანი შემთხვევით გაჩნდა, ათას შემთხვევათ შორის სცხოვრობს, გარდაიცვლება ადრე თუ გვიან ასე შემთხვევით. დავარდა თესლი მიწაზე, შეიძლება აღმოცენდეს, შეიძლება არა. ზღვის ტალღის ბუშტი წყლისა და ქარის ძალებმა წარმოშვეს, მათვე გააქრეს,—ასეთია ჩვენი ცხოვრებაც.

— მაშასადამე, უაზროცაა მთელი სამყარო; მაგრამ მითხარი: არ განგიცდია როგორც ერთი მთელი რამ ჩვენი ქვეყანა? არ განგიცდია მთელი მსოფლიოს სრული ცხოვრება? არ ჰკითხე შენს თავს: რისგან და როგორ წარმოშობილა ქვეყანა—არარაისგან თავისთავად, თუ შექმნილია ვინმე მაღლის მიერ? არა გწამს სასწაული, მაგრამ სასწაული არაა ქვეყანის არსებობა? სად არის საზღვარი დროის და სივრცის?.. უამისოდ ხომ შეუძლებელია გქონდეს მსოფლიო მხედველობა, დაგიმშვიდდეს სული? თუ დაგებადა ეს საკითხები, არ შეიგენი სიდიადე მათი?

— ამით რა გინდა მკითხო?

— ის, თუ შეიგენი, არა გამცნო რა ამ სიდიადემ?

— სრულებით არა.

— ცათ დამშვიდებით მიუახლოვდი და დამშვიდებული გამობრუნდა?

— სრულიად.

— ეს ჩემთვის წარმოუდგენელია! შეუძლებელია დუმილი სოფლის საიდუმლოებათა კარების წინაშე. ამ კარებში სწყდება ადამიანის ყოფნისა და არყოფნის საკითხი, აქ ისახება სარწმუნოება, და შენ კი ხმაც არ დაგიძრავს, შენს გულს არ შეხებია რა, არა გსმენია. მიუახლოვდი ამ კარებს და გამობრუნდი უგრძნობლად. ყურს მივადებდი კარებს, ეგებ რამე ჩურჩულს მაინც გავიგონებდი; ეგებ მცირე ჭვრიტინა გეპოვნა და იქიდან გაიჭვრეტდი.

— იქ არა არის რა, არა!

— არა არის რა, ამბობ. მერე რაღაა „არის“, „არ არის“? მხედავ მე ეხლა ეს არის ფაქტი. მაგრამ არაა ფაქტი, როდესაც ვინმე წინდაწინვე ჰგრძნობს შორს მყოფ ძვირფას ადამიანის განსაცდელს? როცა წმინდანი ღმერთს ჰხედავს, შეეხება.

— გინდა დამიმტკიცო, რომ არსებობს სული, უკვდავება, ღვთაება?

— არა. მე თვით გთხოვ, შენ დამიმტკიცო, რომ არ არსებობს უკვდავება! რომ გარდა ამ სოფლისა ჩვენგან ხილულს ქვეყნის იქით არა არსებობს რა!...

**ხიტუვა.**

## რამდენიმე სიტყვა

### სამუსიკო - საეთნოგრაფიო ცნობების შესახებ ა. ს. ხახანაშვილის ნაშრომში *)

უკანასკნელ ხანებში საქართველოს განსაკუთრებით დიდი რისხვა მოევლინა ბედისაგან. ერთი-მეორეზე მოსცილდნენ ჩვენს ქვეყანას მისი საუკეთესო წარმომადგენელნი, მისი კულტურის მატარებელნი, მისი სიამაყე და სახელოვნება. რაღაც ორის წლის განმავლობაში საქართველომ დაჰკარგა: დ. სარაჯიშვილი, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი და ბოლოს ა. ხახანაშვილი. საქართველოს საუკეთესო შვილნი თანდათან ეცლებიან და მათი მოადგილენი კი აღარა სჩანან. არ არიან ისეთნი დაუღალავნი, სულით შეუპოვარნი ადამიანები, არ მოიპოვებიან შესამჩნევი მუშაკნი, რომელთა მთელი სული, მთელი გონება იქითკენ იყოს მიმართული, რომ ემსახურონ თვისი სამშობლოს სამსხვერპლოს, საყვარელ საქართველოს კულტურის აყვავებას.

საქართველოში თვით ხალხმა შეჰქმნა ცალკე პიროვნებებზე შემდეგი ლეგენდა; იგი ამბობს: თუ ჩვენს შორის ზარმაცები მოიპოვებიან, ესენი იქნებიან ისეთი ზარმაცები, რომელთა გადამჯობნება შეუძლებელია; თუ ესენი ყაჩაღებია, საშიშარი ყაჩაღები იქნებიან; თუ მორწმუნე ბერებია, უეჭველია, წმინდანებში ჩაირიცხებიან; თუ ესენი მოღვაწენი არიან, მხოლოდ ისეთნი, რომელიც საქმისათვის არ დაზოგავენ სულს. და ეს სწორედ არის შემჩნეული, რის დამამტკიცებელია თუნდაც განსვენებულის ა. ხახანაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

მაგრამ დავუბრუნდებით თემას. რა დამოკიდებულება აქვს ა. ხახანაშვილის შრომას ქართულ მუსიკალურ ეთნოგრაფიასთან? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ ა. ხახანაშვილის „საქართველოს სიტყვიერების მიმოხილვის“ 1 ტომს, სადაც სასიმღერო განყოფილებაში ჩვენ ვპოულობთ საქართველოს სახალხო მუსიკოსების ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერილობას. აქ ისეთ დაწვრილებით ცნობებს შევხვდებით, როგორსაც სხვაგან ვერსად ნახავთ. აქ დაწვრილებით აწერილია, თუ როგორ სცხოვრობენ და მუშაობენ მესტვირეები, რასა მღერიან, რა საკრავზე უკრავენ, რა შინაარსისაა მათი სიმღერები. გარდა ამისა ჩვენ ვხვდებით საინტერესო ცნობებს აშუღების შესახებ, მათი საზოგადო მდგომარეობასა და უბედურობისა; გავიგებთ, თუ ცხოვრების ამ გერებს, მართლაც ბუნებამ გვერდი როგორ აუარა, დავინახავთ, რომ მუსიკა მათთვის ერთად-ერთი სიხარულია ცხოვრებაში. დასასრულ, აქ ჩვენ პირველად შეგვიძლია გავეცნოთ ქართულ სამუსიკო საკრავებს, რომელთა შესახებ ლაპარაკობენ ძველ წიგნებში. განსაკუთრებით საყრადღებო კი, რომელსაც ამ წიგნში შეხვდებით, ის არის, რომ აქ ვპოულობთ კლასიფიკაციას, განსაკუთრებით ქართულ სიმღერების დახასიათებას. შეიძლება ითქვას, რომ ა. ხახანაშვილზე ადრე არავის არ ჰქონია ასეთი საინტერესო და მდიდრული დახასიათება ქართული სიმღერებისა. ა. ხახანაშვილი ერთი უპირველესთაგანი იყო, რომელმაც ქართლ-კახეთის სიმღერები აღიარა ისეთ სიმღერებად, რომელიც ხალხმა შეურყეველი რწმენის ზეგავლენით შექმნა. განსვენებულის აზრით, შეუწყვეტელ უბედურების აუტანლობაში მყოფი ხალხი ისეთ სიმღერებსა ჰქმნიდა, რომელიც სათნოებისა და მოწიწების ჰიმნი იყო; ამ სიმღერებში ხალხი გამოსთქვამდა თავის ფიქრებს განცდილ საშინელებათა გამო. თუ კი სიმღერების ცალ-ცალკე კატეგორიებზე გადავალთ, უნდა ვსთქვათ, რომ ზნე-ჩვეულებასთან დამოკიდებულ სიმღერებში ვხედავთ ჩვეულებათა დაწვრილებით აღწერას, ამ ჩვეულებების სხვა ხალხის ჩვეულებებთან შედარებას და სხ. გარდა ამისა გავიგებთ ძველებურ „ალილოსა“ და სხვა სიმღერის აღმოცენებას. აგრეთვე საინტერესოა საქორწილო და ჯგუფობრივ სათამაშო სიმღერების დახასიათება, ამასთანავე იმ სიმღერებსაც, რომელიც შეთანაბრებულია ხვნა-თესვასთან, ყურძნის კრეფასთან, ყოფა-ცხოვრებასთან და სხვ. ძვირფასი და საინტერესოა ისტორიულ ხასიათის სიმღერებიც.

ყოფა-ცხოვრების სიმღერების დახასიათება ძლიერ მდიდრულია. აქ ჩვენ ვკითხულობთ, როგორც მათ შინაარსისა, ისე მუსიკალურ გადამცემის საშუალებათა შესახებ. სხვათა შორის ა. ხახანაშვილი სწერს: „ქართველი—უმთავრესად პოეტია; მას მღერა ყველა ერზე მეტად უყვარს: ყოველი ხე, ყოველი ჩირგვი, ყოველი შემთხვევა საკმარისია, რომ იმის ბაგეთაგან სიმღერა გამოიწვიოს, თუ კი შეიძლება სიმღერა ვუწოდოთ იმ იმპროვიზაციას, რომელიც გრძნობათა ჭარბობის გამო, მათგან დამოუკიდებლად წარმოდინდება ხოლმე“.

მუსიკალურ ეთნოგრაფიისათვის ფრიად საინტერესოა აგრეთვე, რომ განსვენებული ა. ხახანაშვილი ქართულ სიმღერებს ორ კათეგორიად ჰყოფს: ნამდვილი ხალხური ქართული სიმღერები და ხალხში გავრცელებული სხვა ერების სიმღერები, მაგალითად: თათრებისა, სპარსელებისა და სხვ. „პირველი ხასიათი, ამბობს იგი, უფრო ეპიკურია, მეორეთა კი—ლირიული. პირველი სიმღერებში გამოხატულია რაიმე მომხდარი ამბავი ხალხის ცხოვრებიდან, რომელიმე გადმოცემა და იდილიური ხასიათის სანახაობანი; მეორენი კი გამოსახავენ რაიმე გულითად მწუხარებას დაკარგულ სიყვარულის გამო, დამღერენ ქალის სილამაზეს და აქის გამო გამსჭვალული არიან სინაზით და ფერადების სიცხოველით“.*)

აგრეთვე საინტერესოა სიმღერების ფორმების საკითხი. აქაც განსვენებული ორ კატეგორიად ჰყოფს მათ: სიმღერა და შაირი ანუ ლექსი.

ერთი სიტყვით, ის ცნობები, რომელიც შეგროვილი აქვს განსვენებულს სამუსიკო ეთნოგრაფიისათვის, დიდ ღირებულებას წარმოადგენს და აი სწორედ ამიტომ არ მოიპოვება ისეთი სამუსიკო-საეთნოგრაფიო ნაწარმოები, სადაც არ იხსენიებოდეს ა. ხახანაშვილის „ქართულ სიტყვიერების ისტორიის მიმოხილვა“, არ არის ისეთი ავტორი, რომელიც თავის შრომაში ა. ხახანაშვილის სახელსაც არ იხსენიებდეს. ესეც კია, რომ მისი ნაშრომის არ მოხსენება შეუძლებელი საქმეა. სამუსიკო ეთნოგრაფია მუდამ და ყოველთვის თავის სპეციალურ საკითხებს ეხება, მაგრამ ვინაიდან იგი მუდამ დედანთან არის შეკავშირებული, ამიტომ მას ხშირად უხდება ხოლმე სახალხო სიტყვიერებასთან ხელჩაკიდებული მსვლელობა. ამგვარად ქართულ მუსიკის ყველა მკვლევარს ძალა-უნებურად უხდება „მიმოხილვისადმი“ მიმართვა და ამა თუ იმ ცნობებით შევსება თავისი ნამუშევარისა. თუ კი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ წყაროში ბევრი ცნობა მოთავსებულია იმ დროს, როდესაც იწყებოდა ქართული მუსიკის ეთნოგრაფია, მაშინ ადვილად გასაგები იქნება და ადვილად დასაფასებელიც ის ცოტაოდენი ცნობები, რომელსაც გვაწვდის განსვენებული ა. ხახანაშვილი.

დასასრულ, მე მინდა განსვენებულის ა. ხახანაშვილის მოღვაწეობა შევადარო ერთი ბერის მოღვაწეობას. ეს ბერი ცხოვრობდა პაწაწა სენაკში, ვეებერთელა მთაზე მდებარე ეკლესიის გვერდით. ხალხს ეძნელებოდა ამ მწვერვალზე ასვლა, რათა ბერთან ერთად შეჰვედრებოდა უზენაესს. და აი, რათა ხალხის სურვილს შეჰგებებოდა, ბერი მთელი წლობით დაუსვენებლად იღვწოდა და ამ მთაზე ასასვლელ საფეხურებს აკეთებდა, რათა ამით ყველასათვის გაეადვილებინა მთაზე მდებარე ეკლესიაში ასვლა. მიუხედავად ყოველგვარი ბრკოლებისა, წელთა მთელი რიგის განმავლობაში ბერი აკეთებს თავის საქმეს და ბოლოს აკი დაასრულა მძიმე საქმე. და აი ეხლა ეკლესიაში ყველა თავისუფლად ადის. სწორედ ასეთი იყო განსვენებულის ა. ხახანაშვილის შრომაც. ცხოვრობდა ადამიანი ობლად მეცნიერების ტაძარში, და, შეიძლება ითქვას, მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა საფეხურების გაკეთებას, რათა ყოველს, ცოტათი მაინც განათლებულს, შესძლებოდა იქ ასულიყო და ეთქვა: „მე ქართველი ხალხის კულტურის ტაძარში ვიმყოფებიო“.

**დ. არაყიშვილი.**

*) ეს რეფერატი წაკითხული იყო 1913 წ. 8 მარტს მოსკოვში „მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის საზოგადოების“ სხდომაზე.

*) ა. ს. ხახანაშვილი „ქართული სიტყვიერების ისტორიის მიმოხილვა“ ტ. I. გვერ. 68.

## დაუღალავი ენერგია და

### დაუღალავი გულგრილობა.

ხუთის წლის წინად ვერც ერთი ჩვენგანი ვერ წარმოიდგენდა, რომ ადამიანს შეეძლებოდა ასე თავისუფლად ჰაერში თარეში. ის, რაც ოცნებას წარმოადგენდა, უკვე სინამდვილედ იქცა. და აი, ერთი თვის წინად გამბედავმა ფრანგმა ბრინდეჟონდე მულინემ პატარა მანქანით ჰაერით გადალახა ვეებერთელა მანძილი პარიზიდან პეტერბურგამდე; ორ დღეში გაიფრინა ის მანძილი, რომელსაც მატარებელი 5—6 დღეს ანდომებს.

ბევრი ცდა და ჯაფა იყო საჭირო, მასთან ბევრი მსხვერპლიც, სანამ ადამიანი მიაღწევდა ამ მიზანს. მრავალჯერ გადაკეთებულა ყოველი ტიპის სეფრენი მანქანა ათი და ოცი მოტორი აქვს დამსხვრეული ყოველ მფრინავს, სანამ არ იპოვის ყოველმხრივ უნაკლო მამოძრავებელს, რომელიც შორს ფრენის დროს და ჯერაც არ ჩაჰკრავს, ერთჯერაც არ შეჩერდება ან არ წაიფორხილებს.

ეს თავგანწირულნი მებრძოლნი ყოველ მხარეში დიდს თანაგრძნობას ჰპოვებენ, ყველგან მათ დიდ დახმარებას უწევენ, როგორც კერძო ქველმოქმედნი, ისე მთავრობაც. ყველას ახსოვს ის დრო, როცა რუსეთში ბ. ტატრინოვს მთავრობამ რამდენიმე ათი-ათასი მანეთი მისცა სამუშაოდ, თუმცა კი შედეგი ძლიერ უნაყოფო იყო. ასეთი შემთხვევები ბევრია, რომლის ჩამოთვლაც საჭირო არ არის.

მხოლოდ ჩვენ, ქართველებს, არ მიგვიქცევია ყურადღება ჩვენი მფრინავისათვის. და განა მარტო მფრინავისათვის? არა, გამომგონებლისათვის, რომლის კოხტა, სხარტი და საოცრად მჩატე, მაგრამ სწრაფ-მფრინავი მანქანა ყველა ქვეყანაში დიდ ყურადღებას მიიპყრობდა. ჩვენებური გულგრილობით ვეკიდებით ბ. **ქებურიას**, რომელმაც უკვე დაამტკიცა თავისი მანქანის კონსტრუქციის უპირატესობა, თუმცა ჰფრინავდა ისეთი მოტორით, რომელსაც ეხლა იაფ ფასიანი ავტომობილებიც კი დაიწუნებენ, არამც თუ იმით ჰაერში იფრენდნენ. აუარებელი დაბრკოლება გადალახა კაცმა, სანამ შვიდე კონსტრუქციის შემდეგ საწადელს მიაღწია; მთელი თავისი ძალღონე და ქონება საყვარელ საქმეს მოანდომა, იმ საქმეს, რომელიც მთელი კაცობრიობის საქმეა და არა კერძოდ მისი, ბოლოს აღარაფერი აღარ შერჩა მას და ჩვენი გულგრილობის გამო იძულებული იყრინოს ამ მოტორით, რომელიც ყოველ მობრუნების შემდეგ მფრინავს სიკვდილს უქადის. მიუხედავად ამისა, იგი მუდამ დღე იმის ცდაშია, რომ როგორმე კიდევ გაჰფრინდეს, მაშინაც კი, როდესაც მატორის მუშაობას ცხადად ეტყობა მუქარა.

მაგრამ განა მასა გაიგებს მის ტრაგედიას? მას სურს სანახაობის ნახვა; იფრინე, თავგანწირულო ადამიანო, თუნდაც ჩამოვარდე და დაიმსხვრე, მხოლოდ ხალხს სანახაობა აჩვენეო; მაშინ იგი კმაყოფილია. მაგრამ, ვაი შენი ბრალი თუ ვერ აფრინდი! რას დაგიდევს ბრბო, როგორია შენი მატორი!

თუ ხალხმა არ იცის მიზეზი ბ. ქებურიას ხშირი უბედურებისა, ჩვენ ხომ ვიცით. ისიც კარგად ვიცით რომ ასეთი მოტორით ფრენა შეუძლებელია და თუ ჰაეროპლანი მაინც ჰფრენს, ეს იმას ნიშნავს, რომ კონსტრუქცია საოცარია—მაშ რაღად ვუცდით იმ დროს, სანამ თავგანწირული მფრინავი თავს არ შესწირავს მის პირველ გამოგონებულ მანქანას. განა არ შეიძლება მისთვის ხელის გამართვა? საჭიროა ცოტათი მაინც მოვიცილოთ ეს გულგრილობა და იმის მეათასედი მაინც მივაწოდოთ თითო ჩვენგანმა, რაც მან დაჰხარჯა საყვარელი მიზნისათვის.

როგორც გავიგეთ, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულო ამ დღეებში განიხილავს ზოგიერთ აზნაურთა წინადადებას, რომ ბ. ქებურიას მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ. დარწმუნებული ვართ, რომ თავად-აზნაურობა უარს არ იტყვის კეთილ საქმისათვის დახმარებაზე. მაგრამ ეს მხოლოდ საფუძველი იქნება იმ თანხისა, რომელიც საჭიროა. იმედია დეპუტატთა საკრებულოს სხვანიც მიჰბაძავენ.

**კორდელი.**

„იგი განუმეორებელი ჰანგია, მარადისობის ჩანგზე შემთხვევით აჟღერებული. სიყვარული ის ციური ცვარია, კოკობ ვარდს რომ დაესხმის ხოლმე განთიადის ჟამს, რათა მზის ამოსვლისთანავე, სხეტაკ სხივთან შეზავებული, გულს ჩაეწვეთოს მას და საამოთ გადაფურჩქნოს; იგი ის იდუმალი ძალაა, რომელიც უსაზღვროების წიაღში ვარსკვლავთ აციმციმებს, რომ ცხოვრების ეკალნარში უიმედოთ მოხეტიალე ადამიანს გზა უჩვენოს, გაუადვილოს. აი როგორია იგი“! ამგვარად სიყვარული მთელი სიმბოლოა, სამყაროშემქმნელი ძალა, სიცოცხლის დასაბამი, ცხოვრების წყარო: „იგი განუმეორებელი ჰანგიაო, მარადისობის ჩანგზე შემთხვევით აჟღერებული“.

მაგრამ მით უფრო საბედისწერო სახეს ღებულობს ავტორის ხელში ეს „იდუმალი ძალა, რომელიც უსაზღვროების წიაღში ვარსკვლავთ აციმციმებს“ აი მთის ასული, აი ავტორი, მათი გრძნობა ძლიერი და სანეტარო! თითქო ყოველივე ხელს უწყობდა მათ შეერთებას, მათ შეკავშირებას, მათი დამიჯნურების სამხიარულოდ და საბედნიეროდ გათავებას და ყოველივე სასიამოვნოდ მოწყობილი დაიმსხვრა და სამგლოვიაროდ და სავალალოდ გარდაიქცა. მათ გამიჯნურებაში ჩაერია მახინჯი გელა, რომელმაც შური იძია თავისის უარყოფილის სიყვარულის გამო და ჯეირანი—მთის ასული—წყალში თევზაობის დროს დაახრჩო.

შემცდარი იქნებით, თუ იფიქრებთ, რომ აქ ჩვეულებრივი, უბრალო შემთხვევაა, ყოველდღიური ამბავი. არა! ავტორი ამ ყოველ-დღიურ ქარქაში აჩვენებს სამარადისო ტრაგედიას სიყვარულისას და მეტად ღრმა გრძნობებსა და ფიქრებს გვიშლის.

მახინჯ გელას უყვარდა იგი (მთის ასული), უყვარდა ისეთი გაალქაჯებული ვნებით, როგორც შეუძლია მხოლოდ სხეულით მახინჯს და ამიტომ შურისძიებაც ასეთი სიმკაცრით აღემატა საბრალო ქალის უნებურ დანაშაულს!

„ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი სიყვარული“. „დიახ, ძლიერია იგი, ვით ის უცნაური მცენარე, რომელსაც გვიმრას ეძახიან; იგი არაოდეს ჰყვავის, თესლს არ იძლევა, მაგრამ უმისოდაც გამძლეა და, მარადის ჰხარობს, აი, როგორია სიყვარული“. ადამიანი დიდიხანია აღიარებულია საზოგადოებრივ ცხოველად. მაშასადამე ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეუძლია ისე, რომ ამ ნაბიჯმა ასეთი თუ ისეთი გავლენა არ მოახდინოს მის გარეშემო. ჰაერს მაინც შეანძრევს და ეს ჰაერის შეძვრა თავისებურ მოქმედებას იქონიებს მის მეზობლებზე. მით უმეტეს სიყვარული—ეს უცნაური და საბედისწერო „იდუმალი ძალა“ არ შეიძლება წარმოებდეს ისეთ პირობებში და გარემოებებში, რომ სხვას არას სწვდეს, სხვის ინტერესებს არ შეეხოს, სხვისი ვნებათა აშლა არ გამოიწვიოს, სხვისი გრძნობები არ ააღელვოს. და სწორედ ეს გარდუვალი, საბედისწერო წრე ჰქმნის ტრაგიზმს სიყვარულისას; შეგიძლიათ, რამდენიც გნებავთ, იქადაგოთ, რომ სქესობრივი გრძნობა, მიჯნურობა, ტრფიალი ყოვლად თავისუფალი გრძნობაა, რომ თვით უსაშინელესი უზნეობა არის ის ზნეობა, რომელიც რაიმე კალაპოტში აყენებს ამ გრძნობას, რომელიც ხელს უშლის მის თავისუფლად განვითარებას, ეს ყოველივე თეორიაა, გაზყენებული მსჯელობაა, ბუნებისა და ცხოვრების „იდუმალი ძალები“ კი თავისს ფატალურ მსვლელობას როდი სცვლიან ჩვენ მოსაზრების შესაფერისად, იგინი დასცინიან ყოველივე ჩვენ აზრსა და ოცნებას ამ სფეროში. განა არის ქვეყანა რამე უფრო უგუნური, უფრო უაზრო, უფრო უზნეო, ვიდრე სიკვდილი, რომელიც ყოველივეს ასწორებს „სუსტსა და ძალ გულოვანს“, რომელიც ერთის ცელის მოსმით სპობს სილამაზესა და სიყრმეს, სიმშვენიერესა და ბედნიერებას, მაგრამ ჩვენი მოთქმა და წუწუნი გლოვაა ლაჩრისა და უბადრუკისა და ერთის წუთითაც ვერ შეაჩერებს სიკვდილის ულმობელ ბრძოლას ჩვენის სიცოცხლის წინააღმდეგ.

და ტყუილია კი არ ამბობს ეკლესიასტეს შემქნელი, რომელსაც იმეორებს არა ერთხელ ჩვენი ავტორი: „ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი სიყვარული“. დიაღ ძლიერი, თავზარდამცემის ძოევა მოსილობით აღჭურვილი, მაგრამ საიდუმლო, მიუწდომელი, გამოუცნობელი რამ, რომლის გზა ჩვენ გვხიბლავს და გვიტყუებს, მაგრამ თანაც ეკლებით მორთულია; ამ გზაზედ ჩვენის გულით ვხრავთ, ვით უსუსური, ჩვილი ბავში, ჩვენს გულს შეუბრალებლად კაწრავს ეკალი და იგი სისხლით იწრიტება და დნება. ჯეირანსა და მოთხრობის გმირს ერთმანერთი უყვართ იმ საოცარის, ძლიერის სიყვარულით, რომელიც ბ. ქუმბაძეს ცხოვრების დასაბამისა და დასასრულის კვანძად მიაჩნია; იშვიათად შევხვდებით ჩვენ მწერალს, რომელსაც სიყვარულისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობა მიენიჭებიოს სამყაროში, რომელსაც ესეთის ტრაგედიულის სამგლოვიარო ლეჩაქით შეემოსოს იგი. ძლიერება სიყვარულისა, მისი საბედისწერო თვისება ეს განუყრელი რამ არის ჩვენის ავტორის ხელში.

„არის ქვეყანათ უხილავი ძალა, რომელიც სივრცისა და ჟამის გარეშე არსებობს; იგი განაგებს მსოფლიოს ჰარმონიას და ადამიანთა ცხოვრებას წეს-რიგს. მას ემორჩილება ყოველი —სულიერი და უსულო; აწმყო და წარსული, ისე როგორც ბურუსით მოცული, პირდამუწული მომავალი მხოლოდ მისი ჭირვეულობის ყურმოჭრილი ყმა და მონაა. ამ უცნაურ იდუმალ ძალას ძველათ ბედისწერას ეძახდენ, ხოლო მისი ნამდვილი სახელი კი სიყვარულია. იგია დასაწყისი და დასასრული ყოველგვარი სიცოცხლისა; მისი ძლიერება სუსხიან ზამთარს საამო გაზაფხულით სცვლის; უცხო, მშვენიერ ყვავილმცენარეთ ნელი სიოს სახით მოევლინება და მწრუნველი სინაზით ერთმანეთს გადანასკვავს, რათა ერთხორცებაში ახალი სიცოცხლე ჩასახოს; იგია, სულდგმულს რომ სულდგმულისაკენ უძლეველი ჟინით იზიდავს და მით მოდგმათა განუწყვეტელ ჯაჭვს ამტკიცებს; იგი სივრცესა და ჟამს გადალახავს ხოლმე და სიცოცხლის სიამე—მოწყურებულს, ორ ობოლ სულს მარადიული ლხენის ემბაზში აერთებს, ნათლავს— გარდუვალია მისი მეუფება!

უნდა დამეთანხმოთ, რომ სიყვარულის მეფეს—ეროსს არც თუ ხშირად გაუგონია ქართველი მწერლისაგან ასეთი წმინდა ლოცვა, ასეთი უმწიკვლო ჰიმნი, ამაღლებული, გაღრმავებული გალობა, რომელიც მშვენიერად შეზავებულია ხორციელებასა და „მგრძნობელობასთან“.

მაგრამ ჯეირანისა და ავტორის გრძნობათა აშლა და განვითარება ხდება კაცთა შორის. როდესაც ასეთი დიადი ძალა და ინსტინქტი აბობოქრდება, ძალაუნებურად შესძრავს მთელს არე მარეს, თავის და უნებურად მოახდენს ათასნაირ ვნებათა ზეხლა-შებრძოლებას და საქორწილოდ განმზადებული ლხენა სამგლოვიარო ბრძოლით დამთავრდება ხოლმე. ესე, ქორწილში მოწვეული მაყრიონი დაითვრება რა ღვინით და ვნებათა ცეცხლით გახურვებული ჰაერით თავბრუ დაეხვევა—დაიწყებს აყალ-მაყალს, რომელსაც ხშირად სისხლის ღვრა მოჰყვება ხოლმე.

და გელაც,—ეს სიმბოლო ბოროტის ძალისა—„სახე, ჯოჯოხეთური ბიწიერებით გაავთრებული“, შეიჰრება ჯეირანის მიჯნურობაში და დალუპავს მას, რაკი იგი ამ მახინჯის ტრფიალს, ამ „ბიწიერებით გაავთრებულ ჯოჯოხეთის სახეს თავის გულ-მკერდს არ გადაუხსნის და სქესებრი მის ჟინს არ მოუკლავს. რას დაგიდევსთ თქვენ გელა, სახე ავის სულისა, სიყვარულის თავისუფლებას, ჯეირანისა და მისი სატრფოს ნეტარებასა და ბედნიერებას, მას უნდა სიცოცხლე, უნდა ცხოვრება, უნდა სულ თქმა და ეს კი უჯეირანოდ არ შეუძლია. ულოღიკოა მისი შურისძიება, უაზროა, უსაბუთოა, უსამართლო—ისე როგორც ყოველი საბედისწერო და დიადი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა, ისე როგორც დაბადება მახინჯისა და სიკვდილი ბაირონისა, გინდ შელლისა, გინდ ნიკო ბარათაშვილისა, როგორც ჯვარცმა იესოსი და ტყვიით განგმირვა ილიასი, მაგრამ აბა მიჩვენეთ სხვა რომელიმე მოვლენა, რომელიც ლოღიკურისა და სამართლიანობის დარჯაკში გატარებული და რომელიც შეედრებოდეს სიდიადით ამ მოვლენებს.

„ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი სიყვარული“. და თქვენა გგონით, რომ გელას ამბავი, ეს რაღაც უცნაურია, არა ჩვეულებრივი. გელა სიმბოლოა სიცოცხლისა და სიყვარულის წინააღმდეგ მეომრისა და მებრძოლ ბოროტის ძალებისა. და განა იქვიანი ქმარი, რომელიც სარგებლობს „კანონიერის უფლებით“ და სიცოცხლეს უსპობს ცოლს, განა ოჯახებრივი ტრადიციები, ფინანსიური მოსაზრებანი და სხვა ათასი გელაზე უარესი მაჯლაჯუნა, რომელიც ხელს უშლის ამ დიადი გრძნობის თავისუფლად ნავარდსა და გაშლას—იგივე „სახე“, არ არის „ჯოჯოხეთური ბიწიერებით გაავთრებული“? და ავტორის ხელოვნურ თავშეკავებულობის ქება მეტი არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ გელას არსებობა, მისი შურისძიება მას მიაჩნია სრულიად კანონიერ, ადვილად ასახსნელ მოვლენად. ან თუ იგი აღშფოთებულია, იმიტომ რომ იგი ამ პროცესში ერთად-ერთი მხარეა, მომჩივანი, ხოლო, როცა იგი შემომქმედის სამსჯარო **ტოგას** წამოისხამს, ამ მოვლენას სრულის მოთმინებით ეკიდება, ღრმად ჩაუკვირდება და გაგვაცხადებს: ძლიერიაო სიყვარული, ყოველგვარი, თვით გელას საშინელი სიყვარულიც.

(შემდეგი იქნება)

**კოტე აბაშიძე**

# მუშათა ცხოვრება

✦ გასაფიცავად ძალდატანებისათვის პეტერბურგის ქალაქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელმა ო. მ. ვინდორფმა ერთი თვით ციხეში ჩასვა ივ. მალფეევი, მ. მატფეევი, პ. ივანოვი და პ. პავლოვი.

✦ გაფიცვის გამო პეტერბურგის კანაფის ქარხანის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ ქარხანა დაკეტილი იქნება დროებით და მუშებს ანგარიში გაუსწორდებათ.

✦ 28 ივნისს გაიფიცნენ მუშები პეტერბურგის ქარხნებში: მასკვლის სანთლისა და მილებისა: ვერგუნინის, ტორნტონის და ობუხოვის ქარხნებში.

✦ იმავე დღესვე გაიფიცნენ პეტერბურგში ვაგონთა საშენებელი ქარხნის ელექტრო-მონტიორები.

✦ შნეიდერის რკინისა და ბეტონის საწარმოო კანტორის მუშები გაიფიცნენ.

✦ ერთი კვირის წინად გაიფიცნენ პეტერბურგში ლაფერმის თამბაქოს ქარხნის მუშები. ეხლა ამ გაფიცვას მიემხრო ქარხნის ყველა განყოფილების მუშები. სულ გაიფიცნენ 4.000 კაცი. ქარხანასთან პოლიციელთა რაზმი მორიგეობს.

✦ მოსკოვში, 29 ივნისს, გაიხსნა სრულიად რუსეთის სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა მე-4 კრება. კრება გახსნა კრების მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარემ ა. გრინბერგმა, რომელმაც ვრცელი სიტყვით მიჰმართა კრებას. შემდეგ კრება შეუდგა თავმჯდომარის არჩევას. წამოყენებული იყო კანდიდატურა სახელმწიფო სათათბიროს წევრის ა. თ. კერენსკისა „რუსეთის ცენტრის წარმომადგენელთა ჯგუფიდან“-ო, „წმინდა-კლასობრივ ნიადაგზე მდგომი ჯგუფი“ ასახელებს ანტოშკინს. ებრაელების ნაწილი ემხრობა პირველს, ნაწილი მეორე ჯგუფს. სამხრეთელებიც მეორე ჯგუფს ემხრობიან, მხოლოდ თავმჯდომარედ თანახმა არიან აირჩიონ „ნაროდნიკი“ კერენსკი. კერენსკი უარს ამბობს თავმჯდომარეობაზე, მაგრამ კრება სთხოვს და კერენსკიც თანხმობას აცხადებს. კრებამ კენჭის ყრით თავმჯდომარედ აირჩია ა. თ. კერენსკი, მდივნად სამსონოვი. კერენსკიმ მადლობა გადაუხადა კრებას და მიჰმართა სიტყვით. შემდეგ დაიწყეს სხვა და სხვა ჯგუფებისა და მხარეების წარმომადგენლებმა კრების მისალმება. სათათბიროს შრომის ჯგუფის სახელით მიესალმა კერენსკი, ს.-დ. ფრაქციის სახელით დეპ. შჩეპკინი. შემდეგ უნდა ს.-დ. ფრაქციის წარმომადგენელს დეპ. მალინოვსკის, მაგრამ პოლიციელი ნებას არ აძლევს, რადგანაც მალინოვსკი კრების წევრად არ არის შეტანილი დაგვიანების გამო და კრებას ესწრება როგორც პრესის წარმომადგენელი. კერენსკი თითონ ჰკითხულობს ს.-დ. ფრაქციის თავმჯდომარის ჩხეიძის დეპეშას. შემდეგ ისევ გაგრძელდა წარმომადგენელთა მისალმება. ტფილისელთა წარმომადგენლად გამოდის და ესალმება კრებას ატაევი. კრება უინცინდენტოთ არ გათავებულა. როდესაც კერენსკის წინადადებით კრება შეუდგა საქმეთა გეგმის შედგენას, ამდროს პოლიციის წარმომადგენელი აცხადებს, რომ კრებამ გზას გადაუხვია, აქ ლაპარაკობენ რაღაც ბრძოლის შესახებ, ს.-დ. პროგრამაზე და სხვა და ამიტომ კანონის ძალით მოითხოვს კრების დახურვას. ამის გამო კერენსკიმ და სამსონოვმა ინახულეს ქალაქის უფროსი და საქმის ვითარება გააცნეს.

## სრულიად რუსეთის კოოპერატორთა საერთო კრების გამო კიევში.

(დასასრული *)

ამ 5 წლის განმავლობაში დროთა ვითარებამ თავისი ჰქნა. სხვათა შორის წვრილი კრედიტის მთავარსამმართველოს ოფიციალურ ორგანოში („В. М. К.“) მოთავსებულ იყო მრავალი წერილი სხვადასხვა ფორმის კოოპერატივებს შორის ძმურ განწყობილებაზე (თუმცა, სამწუხაროდ, ზოგიერთი „ურა“-ინსპექტორები ნაკლებ ანგარიშს უწევენ ამ გარემოებას), გაიმართა მრავალი სარაიონო, საგუბერნიო და საოლქო კრება, მოეწყო კურსები, გამრავლდა საკოოპერაციო ლიტერატურა, საკოოპერაციო მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, და, რაც ძლიერ საყურადღებოა, ამ ფაქტს უკვე ანგარიშს უწევენ ისინიც, ვინც დღემდე საქმეს სხვანაირად უყურებდნენ.

ერთი სიტყვით, პირობები თანდათან უმჯობესდება კოოპერაციის განსავითარებლად, მალე მოსალოდნელია საკოოპერაციო კანონდებულების მიღება და შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი კოოპერაციაც ერთნაირ ძალად გადაიქცევა. მეორე კრება კოოპერატორთა ბევრ სახელმძღვანელო მასალას მისცემს ჩვენს კოოპერატორებსაც და ამიტომ იქ უნდა გაიგზავნოს რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი.

კიევის კრება საინტერესოა აგრეთვე იმით, რომ მასთან ერთად კიევში იმართება საერთო გამოფენასთან საკოოპერაციო გამოფენაც. კიევში, ამ ნაირად, შესაძლოა კოოპერაციის ძლევა-მოსილების ცოცხლად დანახვა. აქ დაინახავენ სხვა და სხვა კოოპერატივის წარმოშობასა, განვითარებას და დღევანდელს მათს მდგომარეობას. გამოფენაში მონაწილეობას ღებულობს რუსეთის ყველა კოოპერატივი და მათი კავშირები მთელი წარმოება მოსკოვის კავშირისა უკვე გადაღებულია სინემატოგრაფის ლენტზე გამოფენაზე საჩვენებლად. იქვე დაინახავენ დამწრენი საზღვარ-გარეთის კოოპერატივებისა და მათი კავშირების განვითარებას. ერთი სიტყვით, გამოფენის მნიშვნელობა დიდია და მეტად სასურველია, რომ მოვაწყოთ ექსკურსია, ჩვენი კოოპერატივების მოწინავე ელემენტებისაგან შემდგარი. ეს დიდი სკოლა იქნება მათთვის და ამიტომ ამისთვის არ უნდა დავიშუროთ ხარჯი და დროს გაცდენა.

გამოფენის საორგანიზაციო ბიურომ უკვე აღძრა შუამდგომლობა რკინის გზის ბილეთების დათმობაზე დაკლებულ ფასად. იმედია, რომ ამ შუამდგომლობას დააკმაყოფილებენ და ეს ძლიერ გაადვილებს ასეთი ექსკურსიების მოწყობას. ქართულმა საკოოპერაციო ბიურომ უკვე აღძრა შუამდგომლობა კრებისა და გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტთან, რომ მან რაც შეიძლება ადრე გამოგზავნოს საჭირო ქაღალდი შეღავათიან პირობებში რკინის გზის ბილეთების შესაძენად. ექსკურსია განზრახულია ოცდა ათი კაცის რიცხვით. ექსკურსიაში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ორივე სქესის პირთ, მიუხედავათ იმისა — კოოპერატივების წევრები არიან ისინი, თუ არა, მაგრამ უპირატესობა, რასაკვირველია, მიეცემა კოოპერატივების წევრთ. ექსკურსია გაემგზავრება ქუთაისიდან 24 ივლისს და დაბრუნდება კიევიდან 12 აგვისტოს. მიღებული იქნება ყოველივე ზომა ხარჯების შესამცირებლად. სასურველია, რომ სოფლის მასწავლებლები მიიღებდნენ მონაწილეობას ამ ექსკურსიაში. რაც შეეხება კოოპერატივების იმ მოწინავე ელემენტებს, რომელთაც რუსული არ იციან იმათ უნდა იქონიონ მხედველობაში, რომ რუსული ენის ცოდნა არ არის აუცილებელი საჭიროება. ექსკურსიის ხელმძღვანელი წრე მათ ყველაფერს აუხსნის. ყოველივე ხარჯი არ აღემატება 30—50 მანეთს.

მზრუნველებმა უნდა დააჩქარონ ბიუროში განცხადების შემოტანა შემდეგის ადრესით: Кутаисъ. Грузинскому Кооперативному Бюро, განცხადებასთან ერთად მსურველებმა უნდა გამოგზავნონ თითო თუმანი ქუთაისის საკრედ. ამხ. ბიუროს სახელზე მიმდინარე ანგარიშში ჩასარიცხავად. მხოლოდ მსურველებმა უნდა იცოდნენ, რომ ფულის გამოგზავნა აუცილებელი პირობა არაა ექსკურსიაში ჩასარიცხავად. ბევრი მათგანი შესაძლოა არ მოხდეს ექსკურსიაში და მაშინ მათ დაუყონებლივ დაუბრუნდებათ წიასწარ შემოტანილი ფული.

განცხადება მიიღება 15 ივლისამდე. 16 ივლისს ყველას გაეგზავნება პასუხი. მოვუწოდებთ ჩვენს კოოპერატივებს მიიღონ მონაწილეობა ამ ექსკურსიაში.

**ქართული საკოოპერაციო ბიურო.**

P. S. ვთხოვთ გადაბეჭდონ სხვა გაზეთებმაც. („თ. ქვ.“)

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 934

## ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

**3 ივლისი.**

**სოფია.** ოსმალოს ჯარი 30 კილომეტრით წინ წამოვიდა და გადმოსცილდა ენოს-მიდიას შუა მდებარე მიჯანს, ბუნარა გისარას მხარეს გაიწია. რადგანაც ეს მხარე ბულგარელებმა დასცალეს ოსმალოს წინააღმდეგობა არავინ გაუწია. შეშინებული მცხოვრებლები გარბიან, რადგანაც ოსმალები ჰსცარცვავენ და არბევენ მათ.

**სოფია.** მინისტრთა საბჭო სამსახურიდან გადადგა.

**სოფია.** რუმინიის ქვეითი ჯარმა დაიკავა ბალჩიკი, ლოისიჩი და ტუტრაკანი. რუმინიის ცხენოსანმა ჯარმა 3 ივლის გაიარა სოფელი რახოვო. რუმინელებს არამც თუ წინააღმდეგობა გაუწიეს, არამედ ბულგარეთის ადმინისტრაცია წინ შეეგება. ბევრმა ბულგარელმა დასტოვა რუმინელებისაგან დაჭერილი ადგილები და შიდა ქვეყნებში გაიქცნენ.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ, რომ ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა წავიდეს წინ ადრიანოპოლამდე. დღისით მოხდა კრება ელჩთა კონფერენციისა, რომელზედაც განიხილეს ბალკანეთის მდგომარეობა.

**ბელგრადი.** პაშიჩი ნიშში წავიდა ვენიზელოსთან მოსალაპარაკებლად.

**ათინა.** „ესტია“ იუწყება, რომ ბულგარელებმა დასტოვეს კრესნის უღელტეხილი და დაიწიეს დუბნიცისაკენ.

**ბერლინი.** პოლიტიკურ წრეებს სჯერათ, რომ სახელმწიფოთა თანხმობა არ დაირღვევა, მით უმეტეს, რომ მალე სერბიელები და ბულგარელები შეთანხმდებიან უმთავრეს საკითხებში ცოტა უფრო საშიშია გაუფრთხილებელი მოქმედება საბერძნეთისა. გერმანიას უნდა საბერძნეთი ცოტათი დაკმაყოფილებით დააჯეროს და შეაგნებინოს რომ ბულგარეთის მდგომარეობა, რომელიც გამოიწვია მისმავე დიდმა მოთხოვნილებამ, ცუდია.

**სოფია.** ბულგარელების რაზმმა, რომელიც სერბიისაკენ დასაზვერად იყო წასული შეხვდა ბერძნების რაზმს 1000 კაცისაგან შემდგარს, რომელმაც შეტაკების შემდეგ უკან დაიწია. როდესაც ბულგარელები სერესში შევიდნენ, ბერძნები სახლებში დაიმალნენ და სროლა აუტეხეს. დაიწყო შეუბოვარი სროლა. ბერძნებმა ვეღარ შესძლეს წინააღმდეგობა და უკან დაიწიეს, მაგრამ სურსათის საწყობებს ცეცხლი წაუკიდეს. ბულგარელების ცდამ, ცეცხლი ჩაექროთ, მიზანს ვერ მიაღწია. მთელი ქალაქი ცეცხლში გაეხვა. დაიწვა მთლად ბულგარელების, შემდეგ ბერძნებისა და ოსმალოების უბნები.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**3 ივლისი.**

**უცხოეთი.**

**ვენა.** იმპერატორს ბერტჰხოლდმა მოხსენება წარუდგინა შესახებ თანამედროვე მდგომარეობისა.

**ხანკოუ.** ცზიანცზინთან ომი გაგრძელდა. მთავარი ადგილები ჩრდილოელებმა დაიჭირეს.

**რომი.** „პოპოლო-რომანო“ უარჰყოფს, რომ ოსმალეთისათვის გემები იტალიას არ მიუყიდიათ.

**თეირანი.** მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა შინაარსი მეჯლისის საარჩევნო განცხადებისა. ტექსტი პარიზში დეპეშით გაუგზავნეს რეგენტს დასამტკიცებლად. კონსერვატორებს უნდა წინააღმდეგობა გაუწიონ მეჯლისის არჩევნებს. თუ ვინცობაა არჩევნები მოხდა ბესტში ჩაჯდომას აპირებენ.

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ მეორე კითხვის დროს უარჰყო ჰომრული 302 ხმის უმეტესობით 164 ხმის წინააღმდეგ. მიიღეს ლენდსდოუნის რეზოლიუცია, რომ პალატა არ მიიღებს ჰომრულს ვიდრე ხალხი არ განაცხადებს თანხმობას.

**რომი.** სოციალისტურ პარტიის ცენტრმა დაადგინა, რადგანაც მოახლოვდა დრო საყოველთაო არჩევნების უფლებაზე დამყარებული არჩევნებისა განმარტონ არჩევნებზე მთლიანად თავიანთი უკიდურესი მოთხოვნილებანი და იქადაგონ, რომ მომავალში შეძლებულ კლას დაასრონ ერთი მილიარდი — სხვადასხვადი სოციალურ რეფორმების მოსახდენად.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** დაიჭირეს „ლუჩის“ № 150.

**კიევი.** ამას წინად უკანონო კრებისათვის დაჭერილ 16 ს.-დ. მუშას, რომელიც იხილავდა მუშათა მდგომარეობისა და სახელმწიფო საკითხებს, გუბერნატორმა გადაუწყვიტა ციხე ორი კვირიდან სამ თვემდე. კრებაზე მყოფი დეპუტატი კურიანოვი სამართალში მისცეს.

**მოსკოვი.** ჩეხოვის გარდაცვალების შემდეგ ცხრა წლის შესრულების გამო ნოვოდევიჩი მონასტერში, ჩეხოვის სამარესთან გადაიხადეს პანაშვიდი.

**პეტერბურგი.** დაიხურა მაძებარ პოლიციის უფროსთა კრება.

**სმოლენსკი.** ალექსანდროვის გზაზე იზდეშკოვი-დუროვოს შუა 3 ივლისს მატარებელთა დაჯახება მოხდა. არის მსხვერპლიც.

**სევასტოპოლი.** საზღვაო სასამართლოს განაჩენით მეზღვაურ კულიების მიესაჯა 3 წლით გამასწორებელ რაზმში წასვლა 1905 წელს ჯავშნოსან „პატიომკინ თავრიდელზე“ შეიარაღებულ აჯანყებისათვის.

**მოსკოვი.** კერძო შრომის დამხმარე საზოგადოების მეოთხე კრებაზე მოხდა რამოდენიმე ინცინდენტი. დღისით პოლიციის წარმომადგენელმა დახურა კრება ბინის საკითხის სექციისა, რადგანაც დადგენილების გამოტანის დროს წევრებმა გადაუხვიეს გზას და მოითხოვს თვითმართველობის დემოკრატიზაცია. 3 ივლისს საღამოს გაიმართა საზოგადო სხდომა კრებისა დაქირავების ხელშეკრულების სექციის დადგენილების მოსასმენად. ორ ორატორს უნდოდა საპროფესიო საკითხისათვის მიეცა სოციალურ-პოლიტიკური ელფერი, მაგრამ პოლიციის წარმომადგენელმა გააჩერა ორივე, კრება შესწყდა და განახლების შემდეგ თავმჯდომარემ დეპუტატმა კერენსკიმ მიჰმართა კრებას სიტყვით და განმარტა არსებული აუტანელი მდგომარეობა. პოლიციის წარმომადგენელმა დაინახა, რომ სიტყვა არ ეთანხმება კრების დანიშნულებას და გამოაცხადა საერთო კრება დახურულად, მაშინ თავმჯდომარემ წინადადება მისცა გაეხსნათ კრება დაქირავების ხელშეკრულების სექციისა, მაგრამ პოლიციის წარმომადგენელმა ისიც დახურულად გამოაცხადა, რადგანაც სექციის კრება არსებითად გაგრძელება იქნებოდა საერთო კრებისა.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


## მატარებელთა მიმოსვლა (ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საზ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**წღნეთაში:** № 65, **საგარეკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**გ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბახსაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**კ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **გ. ა. ნავასარდიანი.** 1004

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი. 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, ახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## უფასო სამკურნალო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შიერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

## საჭიროა

**ვაჟი 14--15 წლისა, მოწაფედ**

კბილის ექიმ გეინესთან კიროჩნი ქუჩა № 12. 410

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**დრამატიული თხზულებანი:**

| | |
|---|---|
| იმეგრელოს მთავარი ლევან | 40 კ. |
| ფიქრები, დრ. 5 მოქმედ. | 50 ,, |
| ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. | 20 ,, |
| ლილიტი, ნათარგმნი გ. ყიფშიძისა | 50 ,, |
| ,, ,, ნ. ავალიშვილისა | 1—25 ,, |
| ,, ,, კ. მესხისა | 25 ,, |
| შვილი უდიაშოულოდ დისჯილისა დრ. 4 მოქმედებიდ | 30 ,, |
| წყურვილი, დრ. 3 მოქმ. | 30 ,, |
| ჟან და მადლენა მირბო. | 20 ,, |
| ექიმი ამირბაჯიანი, ტრ. რომ. ფ. | 20 ,, |
| დისჯილნი, სამ მოქმ. | 40 ,, |
| ცხოვრების ნაწყვეტი | 15 ,, |
| ამხანაგი, დრამ. 4 მოქმ. | 25 ,, |
| ანტიგონე, სოფოკლესი | 20 ,, |
| უმანკონი, დრ. 5 მოქმ. გ. ხუხუაშვილისა | 25 ,, |
| კუდიანი ვარსკვლავი, კომ. 1 მოქმ. | 5 ,, |
| სოფლის გმირები, დრ. 4 მოქმ. | 25 ,, |
| სამშობლოს ბურჯნი, 2 მოქმ. | 10 ,, |
| მოულოდნელი შემთხვევა, ვოდ. 1 მოქ. | 15 ,, |
| გამხმარი ფოთოლი, შიუკაშვილისა | 20 ,, |
| მეორე კაენი, დრ. 3 მოქმ. | 30 ,, |

**მიღებულია ახალი წიგნები:**

| | |
|---|---|
| გვირგვინი, კ. მიქელაძის სახსოვრად | 1 მან. |
| მზის სიცილი, იაშვილის ლექსები. | 50 ,, |
| საბავშვო თეატრი, „ჯეჯილის“ გამოც. | 10 ,, |
| კიკოლიკას ნაამბობი, აკაკი | 20 ,, |
| ბერუა ქრისტესიაშვილი, ლომოურისა | 10 ,, |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

**გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „მამცემი“** დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**გამოსულია და იყიდება ნ. შიუკაშვილის პიესა „მემოგროვა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.




## თუმანს მოიგებს დღეში

ადამიანი ჩვენის ახლად გამოგონილი ფერროტიპიული მანქანით— „ფორტუნა“, რომელიც **ერთი წუთის განმავლობაში** დღის სინათლეზედაც კი იძლევა **სრულიად გამოსულს** და **მზა** ფოტოგრაფიული **სურათს.**

**საჭირო აღარაა ცოდნა, მეცნიერება ან ბნელი ოთახი.** ყუთი ივსება დღის სინათლეზე 15 ლითონ. ფირფიტით. მანქანა ლამაზადაა გაკეთებული, საუკეთესო ახრომატით, ნიკელის ჯამით სურათების გამოსაყვანად, კლიტე ლითონის ჩამოსაშვებით, მუქი შუშით. უფასოდ დაერთვის 12 ფირფიტა, 1 ჩარჩო და 1 ინდომატი ფირფიტების გამოსაღებად. **დასურათ. რუსული სახელმძღვანელო.** ✦ **ფასი 7 მ. 75 კ.** (გამოგზავნა 50 კ.).

თუ თქვენ მარჯვე ხართ,

**შეგიძლიანთ გაიჩინოთ ახალი შემოსავალი.**

საჭირო არ არის სავანგებო ოთახი შეიძლება გადაღება მოედნებზე, იარმუკებზე და სავაჭრო ადგილებზე; **ყოველ წუთს შეგიძლიანთ ფულის შეძენა.** მანქანა „ფორტუნა“ დიდად საყურადღებოა აგრეთვე ფოტოგრაფიის მოყვარეთათვის, ნამდვილ სურათისა და დროს გასატარებლადაც კარგია. იგზავნება უბეოდ და ფას-დადებით.

**ადრესი:** „Т-во Патентъ“, Варшава, Св. Креста № 30. Отд. 95.

Метцль. 37989. 1360.

**სამკურნალო გოგირდის აბანო „ფანტაზია“,** ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.

კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29⁰/₀ და 35⁰/₀, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.

1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

## მუდამ ღლე მოგვდის თევზის მრეწველნი მმ. ძმ[illegible] ძმეველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9. ტელეფონი № 712.

**ახალ-ახალი მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი. ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა** (ქიტკა). აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები.**


ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.